

ISSN 2346-7592

სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი

# კლინიკური ონკოლოგია

**N 1/2013**

SCIENTIFIC – PRACTICAL JOURNAL

# CLINICAL ONCOLOGY

**რედაქტორი:**

პროფ. რემა ღვამიჩავა

**სამეც. ხელმძღვანელი:**

პროფ. კონსტანტინე მარდალეიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

რ.ღვამიჩავა, კ.მარდალეიშვილი, ბ.მოსიძე

**სარედაქციო საბჭო:**

ი. აბესაძე

დ. თაბაგარი

ნ. შარიქაძე

გ. ბურკაძე

ვ. კუჭავა

ა. შენგელაია

ზ. ვადაჭკორია

დ. ლომიძე

თ. ჩარკვიანი

დ. ზარიძე (რუსეთი)

მ. შავდია

გ. ციხისელი

**ჟურნალის გამომცემელი:**

**„კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“**

რედაქცია: 0182 საქართველო, თბილისი, თრიალეთის ქ. 50

**www. gsco.ge** ელ.-ფოსტა: **gsco.ge@gmail.com**

**EDITOR:**

**PROF. Rema Gvamichava**

**SCIENTIFIC ADVISOR:**

**PROF. Konstantin Mardaleishvili**

**EDITORIAL BOARD:**

**R. Gvamichava , K. Mardaleishvili, B.Mosidze**

**EDITORIAL COUNCIL:**

**I. Abesadze**

**D. Tabagari**

**N. Sharikadze**

**G. Burkadze**

**V. Kutchava**

**A. Shengelaia**

**Z. Vadachkoria**

**D. Lomidze**

**T. Charkviani**

**D. Zaridze (Russia)**

**M. Shavdia**

**G. Tsikhiseli**

**PUBLISHER:**

**“GEORGIAN SOCIETY OF CLINICAL ONCOLOGY”**

Editorial office: 50 Trialeti St., Tbilisi, Georgia, 0182  
**www. gsco.ge    E-mail : gsco.ge@gmail.com**

Tbilisi 2013



მედიცინის თანამედროვე მიღწევების კვალდაკვალ, მეტად მნიშვნელოვანია, ფეხი აუწყო განვითარების ტემპს, გრძნობდე იმ გამოწვევებს, რომელთა გარეშეც წინსვლა შეუძლებელია. „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ ძირითადი მიზანია, იყოს ამ პროგრესის თანაზიარი და ძალისხმევა არ დაიშუროს ქართული ონკოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებისკენ სწრაფვაში.

ბუნებრივია, ეს მიზანი ყოველ ჩვენგანს ამოძრავებს, მაგრამ ასევე ბუნებრივია, რომ ამ მიზნის მიღწევა ცალ-ცალკე გაგვიჭირდებოდა. სწორედ ამიტომ გავერთიანდით

საქართველოს ონკოლოგიის სხვადასხვა სფეროში მომუშავე ექიმები და ამ გაერთიანების დაფუძნების შემდეგ, მორიგ მნიშვნელოვან ნაბიჯს ვდგამთ. ესაა „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ მიერ დაფუძნებული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კლინიკური ონკოლოგია“, რომლის მიზანია თავი მოუყაროს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, მეცნიერთა აზრსა და სამომავლო ხედვებს ონკოლოგიის მიღწევების, პრობლემებისა და პერსპექტივების გარშემო.

ჟურნალი „კლინიკური ონკოლოგია“ ორენოვანია (ქართულ-ინგლისური). იგი გამოიცემა წელიწადში ორჯერ და შეეხება ისეთ თემებს, რომლებიც აქტუალური იქნება კიბოს პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პალიატიური მზრუნველობის სხვადასხვა ასპექტებიდან გამომდინარე. აქ თავს მოიყრის სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მიღწევების შესახებ და ჯამში გვსურს, ჟურნალი იქცეს ინფორმაციის გაცვლის, ცოდნის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების ეფექტურ საშუალებად.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჟურნალი „კლინიკური ონკოლოგია“, თქვენი გამოცდილებითა და ძალისხმევით, მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოებაში, ხელს შეუწყობს სხვადასხვა ადგილობრივი თუ მსოფლიო მიღწევების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვასა და ქართული ონკოლოგიის, როგორც დარგის, საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას.

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით

რედაქტორი

თ.ს.ს.უ. პროფესორი

რემა ღვამიჩავა

საუკუნეები გვაშორებს იმ დროს, როდესაც ჰიპოკრატემ სიმსივნეების აღწერისას პირველად გამოიყენა ტერმინი „ონკოს“ და ბოლო პერიოდამდე ონკოლოგიური დაავადება უკურნებელ სენად მიიჩნეოდა. მსოფლიო მედიცინის უახლესმა მიღწევებმა ეს მიდგომა სრულიად შეცვალა. ონკოლოგიამ, როგორც მედიცინის დარგმა, შეძლო შეექმნა და შეემუშავებინა მკურნალობისა თუ დიაგნოსტიკის ის მეთოდები და ტექნოლოგიები, დაეხვეწა ის პრაქტიკული თუ თეორიული მიდგომები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ერთ დროს უკურნებელი სენის დასაძლევად.



თუმცა, ნებისმიერი ტექნოლოგიური მიღწევა უძლურია მნიშვნელოვნად შეცვალოს შედეგი, თუ სწორად არ იქნა გააზრებული საკითხისადმი ინტეგრალური მიდგომა, რომ ონკოლოგიური დაავადებების დამარცხება შეიძლება მხოლოდ მთლიანი სისტემით: - პრევენცია - ადრეული დიაგნოსტიკა - მკურნალობა და რეაბილიტაცია. ამ სისტემაში ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე მეტად წამყვანი როლი აქვს სამედიცინო პერსონალის ცოდნას და კვალიფიკაციას, პაციენტის ინფორმირებულობას, რასაც ვფიქრობ, ეს ჟურნალი გარკვეულწილად ხელს შეუწყობს.

უნდა აღინიშნოს, რომ შედეგის მისაღწევად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სამედიცინო სფეროს თითოეული რგოლის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია ქართველი ონკოლოგების სურვილი და წამოწყება, შექმნან პროფესიული გაერთიანება „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოება“, რომლის საქმიანობაც მიმართულია დარგის შემდგომი განვითარებისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებამ“, დაფუძნებიდან მოკლე ხანში მიზნად დაისახა გამოსცეს სამეციერო ჟურნალი „კლინიკური ონკოლოგია“, რომელიც ონკოლოგიის სხვადასხვა დარგებს შორის ერთგავრი გამაერთიანებლის ფუნქციას შეასრულებს; საშუალებას მისცემს ქართველ და უცხოელ კოლეგებს უკეთ წარმოაჩინონ ონკოლოგიის ის პრობლემები თუ მიღწევები, რომელთა გადაჭრა ან დანერგვა არ წარმოადგენს, მხოლოდ პროფესიული გაერთიანებების საზრუნავს. აქ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს ხელშეწყობა და თანადგომა. შედეგზე ორიენტირებულ წამოწყებათა ჯაჭვში კი ჩვენი სამინისტრო ყოველთვის შეეცდება იტვირთოს მნიშვნელოვანი რგოლის ფუნქცია.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი უწყებისა და თქვენი საზოგადოების თანამშრომლობა დაგვხმარება, კიდევ უფრო განვითარდეს სახელმწიფოს მიდგომა და პოლიტიკა ონკოლოგიის დარგის განვითარების საქმეში, რაც საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის ეფექტური დაცვისკენაა მიმართული და რასაც ჰიპოკრატეს ფიცი გვავალებულებს.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

## სარჩევი

არქიტექტურული დიაგნოზი - რთული მამოგრაფიული დიაგნოზი თ. ჩარკვიანი, დ.ბიბილეიშვილი, თ.ნინიკაშვილი .....	8
<b>Architectural Distortion – The Complex Mammographic Diagnosis</b> T.Charkviani, D.Bibileishvili, T.NinikaSvili .....	8
ქრონიკული ტკივილის მართვის ხარისხის შეფასება საქართველოში ი. აბესაძე; რ. ღვამიჩავა; ფ. ძოწენიძე; თ.რ რუხაძე; გ. მეტივიშვილი .....	13
<b>Evaluation of quality of chronic pain management in Georgia</b> I.Abesadze; R. Gvamichava; F. Dzotsenidze; T. Rukhadze; G.Metivishvili.....	13
სპეციალობა – სამედიცინო ონკოლოგი დ. თაბაგარი .....	18
D. Tabagari .....	18
ინტრაოპერაციული სხივური თერაპია - ძუძუს კიბოს თანამედროვე მკურნალობის ასპექტები მ. ჯანჯალია.....	29
<b>Intra-operative Radiotherapy- Modern aspects of breast cancer treatment</b> M. Janjalia .....	29
ლიმფოკინაქტივირებული კილერი (ლაკ) უჯრედებით თერაპია თავ-კისრის სიმსივნეების სამკურნალოდ კ. მარდალეიშვილი, გ. შათირიშვილი, გ. ლოლაძე, ვ. შველიძე, ნ. რატიანი, თ. ჩხიკვაძე .....	35
<b>Lymphokine-Activated Killer (LAK) Cell Therapy for Head and Neck Cancer</b> K. Mardaleishvili, G. Shatirishvili, G. Loladze, V. Shvelidze, N. Ratiani, T. Chkhikvadze.....	35
პლასტიკური ქირურგია თავ-კისრის რეკონსტრუქციაში ონკოლოგიურ პაციენტებში ი. კუზანოვი, კ. მარდალეიშვილი, ა. კუზანოვი, ზ. დაბრუნდაშვილი, გ. კუზანოვი, გ. იოსელიანი, მ. მაჭავარიანი, ვ. ჯავახიშვილი, გ. ბარათაშვილი.....	42
ექსტრაპერიტონული ენდოსკოპიური რადიკალური პროსტატექტომია (ეერპე), უროლოგიის ეროვნული ცენტრის შედეგები – პირველი 300 შემთხვევა დ. ნიკოლეიშვილი, ა. ჩხოტუა, გ. მანაგაძე, ლ. მანაგაძე, ა. პერტია.....	46
<b>Endoscopic extraperitoneal radical prostatectomy (EERPE), evaluation after 300 cases a National Center of Urology</b> D. Nikoleishvili, A. Chkhotua, G. Managadze, L. Managadze, A. Pertia.....	46
გლიობლასტომის რადიოთერაპიული მკურნალობის ასპექტები დ. ლომიძე, გ. კველიშვილი.....	50
<b>Radiotherapy treatment aspects of GBM (Glioblastoma Multiforme) patients</b> D. Lomodze, G. Kevlishvili .....	50
ბავშვთა ასაკის ლეიკემიების მკურნალობის ოპტიმიზაცია საქართველოში მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდების დანერგვა ა. შენგელაია, თ. ჯავახაძე, მ. ხვედელიძე.....	54
<b>Optimization of treatment of childhood leukemia by implementation of state of the art diagnostic methods</b> A. Shengelaia , T. Javakhadze , M. Khvedelidze .....	54
ონკონკურაბელური პაციენტების სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის გამოცდილება რ. ღვამიჩავა, მ. შავდია, ი. აბესაძე, გ. მეტივიშვილი.....	58
<b>Palliative Care Experience of Advanced Cancer Patients</b> R. Ghvamichava, M. Shavdia, I. Abesadze, G. Metivishvili.....	58

<b>საძილე არტერიების პროტეზირება თავისა და კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების გავრცელებული რეგიონული მეტასტაზების დროს</b>	
კ. მარდალეიშვილი; კ. ყიფიანი; კ.ქუნთელია; დ. ღვინიაშვილი; ზ. დაბრუნდაშვილი; ლ. კალმახელიძე; ლ. რამიშვილი; დ. ბახტურიძე; ვ. არგანაშვილი.....	64
<b>Replacement of invaded carotid arteries by graft in head and neck cancer</b>	
K. Mardaleishvili; K. Khiphiani; K. Quntelia; D.Ghviniashvili; Z.Dabrundashvili; L.Kalmxelidze; L.Ramishvili; D. Baxturidze; V. arganashvili .....	64
<b>ბიომიმსგავსებები - სამეცნიერო ასპექტები და მარეგულირებელი კანონმდებლობა</b>	
<b>Treatment of HER2-positive breast cancer .....</b>	<b>68</b>
ნ. გოჩიტაშვილი, ნ. განუგრაკა .....	71
<b>Results of three-field lymph node dissection</b>	
Z. Ferahkose .....	78
<b>წმლის გადამტანი სისტემა ონკოლოგიაში</b>	
მ. შავდია, რ. დვამიჩავა, თ. მუზაშვილი.....	85
<b>Drug Delivery Sistem in Oncology</b>	
M. Shavdia, R. Gvamichava, T. Muzashvili.....	85
<b>გასტროინტესტინული სტრომული სიმსივნის მკურნალობის თანამედროვე მიდგომა</b>	
ნ. შარიკაძე; ქ.ცინცაძე, ე.გიორგაძე, თ. ესაკია; ქ. მაისაია .....	90
<b>Management of Gastrointestinal Stromal Tumours</b>	
N. Sharikadze; K. Tsintsadze; E. Giorgadze; T. Esakia; K. Maisaia.....	90
<b>კიბოს ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი აჭარაში /1902-2012 წწ./</b>	
მ. ჯინჯარაძე, მ. ართმელაძე, მ. ხალვაში, მ.შავდია.....	97
<b>Cancer Epidemiology in Adjara since 1902 to 2012 years</b>	
M. Jincharadze, M. Artmeladze, M. Khalvashi, M. Shavdia .....	97
<b>კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მთლიანობის აღდგენა ჰარტმანის ოპერაციის შემდეგ</b>	
ა. ალადაშვილი; ა. ცალუღელაშვილი; თ. სამუშია; ბ. დვალი.....	102
<b>Restoration of intestinal continuity after Hartmann's procedure</b>	
A. Aladashvili, A. Tsalugelashvili , T. Samushia, B. Dvali.....	102
<b>Анализ результатов хирургического лечения рака желудка в зависимости от объема лимфодиссекции</b>	
Г.А.Амбарцумян .....	105
<b>The results of surgical treatment of gastric cancer in various volume of lymph node dissection</b>	
G.A.Hambardzumyan.....	105

## არქიტექტურული დეზორგანიზაცია - რთული მამოგრაფიული დიაგნოზი

ეროვნული სკრინინგ-ცენტრი

### Architectural Distortion – The Complex Mammographic Diagnosis

T.Charkviani, D.Bibileishvili, T.NinikaSvili

National Screening Centre

On mammograms Architectural distortion in 84% is main sign of breast cancer. It is Often displayed as overlapping of rude fibrosis or spicules running from a lesion to surrounding tissues. These kind of findings are very easy to diagnose. But the images of Architectural distortion is very various and ambiguous. By BI-RADS system it might be estimated as BI-RADS 3,4 or 5 and it's VPP varies in wide mode - 2%<VPP>95%. This fact shows us the wide spectrum of possible architectural distortion most important of which can be sclerosing adenosis and radial scar or Aschoff's proliferative center . Low quality of mammograms may also cause difficulties during the assessment of architectural distortion. In cases of low intensity there can be some difficulties in distinguishing Architectural distortion from breast parenchyma. In order to solve difficulties radiologist should know breast structure and the possible morphological and other changes it goes throughout life.

2008 წლიდან საქართველოში მოქმედებს ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამა რომელიც ემყარება ძუძუს რენტგენოლოგიურ გამოკვლევას და მიზნად ისახავს ძუძუს ავთვისებიანი დაზიანების გამოვლენას ადრეულ სტადიებში და ამით აღნიშნული დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას. საერთაშორისო მონაცემებით სწორედ მამოგრაფიული სკრინინგის დამსახურებად ითვლება ძუძუს კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის 30 პროცენტით შემცირება (6) ამაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ სკრინინგის პროგრამების გავრცელებამ საშუალება მოგვცა ძუძუს ავთვისებიანი დაავადების განვითარების ბუნებრივი ისტორიისთვის რადიოლოგიური გამოსახულების ცვლილების კუთხით მიგვედევნებინა თვალი და ამ ცვლილებების კვალად გვესწავლა რენტგენოლოგიური გამოსახულების შესაბამისობა მორფოლოგიურ სუბსტრატთან, ანუ რადიო-მორფოლოგიური კორელაცია. შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული მეთოდოლოგია მამოგრაფიაზე არსებული ნორმიდან გადახრის მინიმალურად გამოხატული ნიშნების წაკითხვისა.

ეროვნულმა სკრინინგ-ცენტრმა გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილება და მუშაობა წარმართა საერთო მოთხოვნების შესაბამისად. ამაში დაგვეხმარა ამერიკის რადიოლოგთა კოლეჯის მიერ შექმნილი გაიდლაინი ძუძუს კიბოს მამოგრაფიული სკრინინგისა და მის მიერ შემუშავებული BI-RADS სისტემა რაც წარმოადგენს ძუძუს რადიოლოგიური გამოსახულების შეფასებისა, რეპორტირების და მონაცემთა ბაზების შექმნის საერთაშორისო სტანდარტს. BI-RADS ACB-ზე დაყრდნობით ჩვენი ცენტრის სამუშაო გუნდმა დარგის სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით საქართველოში დაამკვიდრა მამოგრაფიების შეფასების უნიფიცირებული სისტემა. იგი აადვილებს როგორც მამოგრაფიის ინტერპრეტაციას, კლასიფიცირებას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ალგორითმის ჩამოყალიბებას, მონაცემთა ბაზების შექმნას, ასევე დარგის სხვადასხვა სპეციალისტებს შორის – ონკოლოგები, ქირურგები, რადიოლოგები და მორფოლოგები – თანამშრომლობას, მულტიდისციპლინურ დისკუსიას.


BI-RADS ACB-ის კლასიფიკაციის მიხედვით (3; 6) მამოგრაფიაზე არსებული ნორმიდან გადახრების დაყოფა შეიძლება 5 ჯგუფად:

BI-RADS-1 ----- ნორმიდან გადახრა არ აღინიშნება.

BI-RADS -2 ----- კეთილთვისებიანი ცვლილებები .

- BI-RADS -3 ----- სავარაუდოდ კეთილთვისებიანი ცვლილებები.
- BI-RADS -4 ----- ავთვისებიანობაზე საეჭვო დაზიანება
- BI-RADS -5 ----- ავთვისებიანი დაზიანება.

აღნიშნული კლასიფიკაცია ამარტივებს მამოგრამაზე არსებულ ნორმიდან გადახრათა აღქმასა და ინტერპრეტაციას, თუმცა ხშირად ერთი და იგივე რადიოლოგიური გამოსახულება სხვადასხვა მორფოლოგიურ ცვლილებას შეესაბამება ან დაავადების განვითარების ადრეულ სტადიაზე მისი შესაბამისი რადიოლოგიური სურათი ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ გამოხატული. ინტერპრეტაციას ართულებს ასევე ძუძუს ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის მაღალი რადიოლოგიური სიმკვრივე (3; 6) და ჰეტეროგენულობა და დაზიანების მდებარეობა მამოგრაფიისათვის ტექნიკურად რთულ ველებში.(1; 3)



ზემოთ მოყვანილ BI-RADS ACR კლასიფიკაციაში არქიტექტურული დეზორგანიზაცია ფიგურირებს სამ ჯგუფში — სავარაუდოდ კეთილთვისებიანი ცვლილებები (VPP არ აღემატება 2%) (2; 3), ავთვისებიანობაზე საეჭვო ცვლილებები (VPP არ აღემატება 95%) (2; 3) და მაღალი ალბათობით ავთვისებიანი ცვლილებები (VPP აღემატება 95%) (2; 3). ეს ფაქტი დაკავშირებულია ძუძუს ავთვისებიან დაზიანებათა რადიოლოგიურ სპექტრში არქიტექტურული დეზორგანიზაციის სიხშირესთან – ძუძუს კიბოს 84% წარმოდგენილია არქიტექტურული დეზორგანიზაციით (4) . თუმცა გარდა ავთვისებიანი დაზიანებისა არქიტექტურული დეზორგანიზაციით შეიძლება გამოვლინდეს კეთილთვისებიანი დაზიანებებიც – რადიალური ნაწიბური, მასკლეროზებელი ადენოზი, პოსტოპერაციული ნაწიბური. ამ რადიოლოგიური ნიშნის შესაბამისი გა-

მოსახულების ინტენსივობა მის მორფოლოგიურ საფუძველზეა დამოკიდებული – იგი შესაძლოა გამოსახოს ხშირი, ტლანქი ფიბროზული ზონრების ზედღების სახით ან წარმონაქმნით, რომლის კიდებიდან მიმდებარე ჯირკვლოვან-ფიბროზულ ქსოვილში მიემართება ხაზოვანი ჩრდილები. (სურ. 1) ამგვარი მკაფიო რადიოლოგიური სურათის შემთხვევაში ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა თუნდაც საშუალო ხარისხის მამოგრამაზე, სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ არსებობს არქიტექტურული დეზორგანიზაციის ნაკლებად მკაფიო გამოსახულებები, რომელთა აღქმა ადვილი არ არის თუკი თავიდანვე მიზანმიმართულად არ ვეძებთ არქიტექტურულ დეზორგანიზაციას და ვიცით როგორია მისი “გეომეტრია”, მორფოლოგიური სუბსტრატი.

არქიტექტურული დეზორგანიზაცია არის ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის არქიტექტურული სტრუქტურის რღვევა, ქსოვილოვანი რეაქცია, რომელიც გამოხატავს ძუძუს მკვრივი შემაერთებელი ქსოვილის ნორმალურ განაწილებაში არსებულ ფოკალურ წყვეტას, დისპარმონიას ხილული მოცულობითი წარმონაქმნის გარეშე. (3; 7)



არქიტექტურული დეზორგანიზაცია არის ის რადიოლოგიური ნიშანი, რომლის შესწავლა სწორედ ორგანიზებული სკრინინგის პროგრამის განვითარებასთანაა დაკავშირებული. (3; 5; 7) რადგან მამოგრაფიულმა სკრინინგმა მამოგრამების მუდმივი რეტროგრადული ანალიზის გზით შესაძლო გახადა დროში ძუძუს ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის მოდიფიკაციის შესწავლა ასაკისა და სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის შესაბამისად და ამ ქსოვილის ქარგაში აღმოცენებული დისონანსის გამოვლენა ადრეულ ეტაპებზე, როცა დაზიანება ჯერ კიდევ ინფრაკლინიკურია. უნდა აღინიშნოს, რომ თუნდ ადრეული გამოვლინებისას, თუკი საქმე ეხება ავთვისებიან დაზიანებას, არქიტექტურული დეზორგანიზაცია ინვაზიურ კარცინომას შეესაბამება, მაგრამ ხშირად თ0 სტადიას და ცხადია ადრეული გამოვლენა აუმიჯობესებს პროგნოზს (3; 4).

მაღალი რადიოლოგიური სიმკვრივის ძუძუში (სიმკვრივის ტიპი ACR-ის მიხედვით 3 ან 4 ) არქიტექტურული დეზორგანიზაცია შეიძლება გამოვლინდეს ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის ერთგვარი „ტურბულენტური გამოსახულებით“, ქსოვილის რადიოტრანსპარანტული



ცენტრისკენ კონვერგენციის სურათით (1; 4). შესალოა ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილისა და მიმდებარე კანქვეშა ან რეტრომამარული ცხიმის საზღვარზე აღნიშნოს გამოყოფი კონტურის დეფორმაცია, რეტრაქცია. (1; 4)



ზოგჯერ არქიტექტურულ დეზორგანიზაციას მიუხედავად იმისა რომ მისი ინტენსივობა დაბალია გააჩნია ყველა მახასიათებელი ნიშანი იმისათვის, რომ ვიფიქროთ ავთვისებიანი დაზიანების არსებობაზე – შედარებით მკვრივი ცენტრი, ამორფული მიკროკალცინატები ცენტრის პროექციაზე, დაზიანების პერიფერიაზე “პერიფოკალური სიცარიელე” და მიუხედავად ამისა შესაძლოა აღნიშნული სურათი კეთილთვისებიან დაზიანებას შეესაბამებოდეს; მაგალითად მასკლეროზებელი ადენოზი. (სურ )



მამოგრამაზე ნანახია არქიტექტურული დეზორგანიზაცია მიკროკალცინატებით. დამატებითმა მამოგრამამ ლოკალური კომპრესიის უკეთ გამოავლინა მიკროკალცინატების მორფოლოგია – ამორფული.




ულტრაბგერითი კვლევით პათოლოგიური ცვლილებები არ იქნა ნანახი. კლინიკურად გამოვლინდა კანის რეტრაქცია. ჰისტომორფოლოგიური დიაგნოზი – მასკლეროზებელი ადენოზი.

– მასკლეროზებელი ადენოზი არის წილაკების ზომისა და რაოდენობის მომატება ინერსტიციული სკლეროზის სიჭარბითა და მიოეპითელური უჯრედების პროლიფერაციით, რაც

ჯამში წილაკის დეზორგანიზაციას იწვევს. აღნიშნული პათომორფოლოგიური სურათის რადიოლოგიური ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლოა მამოგრამაზე ეს ცვლილებები გამოვლინდეს იმგვარი საექვო გამოსახულების სახით (BI-RADS - 4 ან - 5 – ცუდად კონტურირებული ჩრდილი, მიკროკალცინატები, ჯირკვლოვანი ქსოვილის დეზორგანიზაცია) რომელიც საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას.

კლინიკურად შეიძლება სახეზე იყოს კვანძოვანი, პალპირებადი ცვლილებები. თუმცა შესაძლოა არანაირი კლინიკური გამოვლენა არ გვექონდეს და პათოლოგიური პროცესის არსებობის დადგენა შესაძლო გახდეს მხოლოდ მიკროსკოპულად.


რადიალური ნაწიბურის შემთხვევაში ისახება ქსოვილის კონვერგენციის სურათი რადიოტრანსპარანტული ცენტრით (სურ).



მარჯვენა ზედა ლატერალური კვადრანტში აღინიშნება არქიტექტურული დეზორგანიზაცია. ამავე ლოკუსში ულტრაბგერითი კვლევით ისახება ჰიპოექოგენური უბანი. პალპირებადი წარმონაქმნი არ აღინიშნება. ჰისტომორფოლოგიურად – რადიალური ნაწიბური.

რადიალური ნაწიბური არის ვარსკვლავის ფორმის წარმონაქმნი ნათელი ელასტო-სკლეროზული ცენტრით. იგი შეიცავს ჯირკვლოვან სტრუქტურებს, რომლებიც არათანაბრადაა განაწილებული ელასტო-სკლეროზული ცენტრის გარე პერიმეტრზე და რძის სადინარები და წილაკები ქმნიან რადიალურ გვირგვინს, რომელიც ხშირად შეიცავს ადენოზისა და სადინაროვანი ჰიპერპლაზიის ელემენტებს. ხშირად ასოცირებულია მიკროკალცინატები აპოკრინული მეტაპლაზიით.

დიაგნოსტიკის პრობლემები: - რადიალური ნაწიბურის არსებობისას ძნელია დაზიანების კეთილთვისებიანი ბუნების მტკიცება. კერძოდ ძნელია გამოირიცხოს ავთვისებიანი დაზიანების არსებობა მის ელასტო-სკლეროზულ ცენტრში, ყველაზე ხშირად ეს არის ტუბულური კარცინომა. (სურ) ასევე ძნელია პროლიფერაციული დაზიანების უბანში ვამტკიცოთ მხოლოდ სადინაროვანი ჰიპერპლაზიის არსებობა vice versa კარცინომა in situ.



მორფოლოგიური დიაგნოზი: ტუბულური კარცინომა.

რადიალური ნაწიბური, ანუ radial-scar ანუ აშოფის პროლიფერაციის ცენტრი შედის კეთილთვისებიანი ცვლილებების შემაღენლობაში და მისმა შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იმატა ორგანიზებული სკრინინგის პროგრამების განვითარებასთან ერთად

მცირე ზომისა და დაბალი ინტენსივობის არქიტექტურული დეზორგანიზაციები მოითხოვს მამოგრამების განსაკუთრებული ყურადღებით ანალიზსა და ტექნიკური მოთხოვნების მკაცრ დაცვას

უპირველესად აუცილებლად უნდა შესრულდეს სტანდარტული პროექციები- კრანო-კაუდალური და გვერდითი ლატერალური ირიბი და ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი „ბრმა“ ზონები ( ლ.ტაბარის მიხედვით, 1). უნდა გამოირიცხოს ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის სუპერპოზიცია დამატებითი რენტგენოლოგიური გამოკვლევებით. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ არქიტექტურული დეზორგანიზაცია თუნდაც ერთ პროექციაში არსებული, კლასიფიცირდება როგორც BI-RADS 3 და საჭიროებს მოკლევადიან რადიოლოგიურ კონტროლს (3; 6).

დაცული უნდა იქნას მამოგრამების წაკითხვის გარკვეული მეთოდოლოგია - პირველი - კონტრალატერალური მამოგრამების სარკული შედარება - ნებისმიერი ასიმეტრია ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის სტრუქტურაში საეჭვოა მანამ, სანამ მისი კეთილთვისებიანობა არ დადასტურდება და მეორეც - მამოგრამების რეტროგრადული ანალიზი და თანაც იმგვარად, რომ პერიოდულობა და რეტროგრადულად შესასწავლი დროის ხანგრძლივობა დამაკმაყოფილებელი იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არქიტექტურული დეზორგანიზაცია წარმოადგენს ყველაზე ხშირ რადიოლოგიურ გამოსახულებას ძუძუს ავთვისებიანი დაზიანებისა. თვით არქიტექტურული დეზორგანიზაცია მრავალფეროვანია და მისი რადიოლოგიური სახე რამდენიმე პათოლოგიურ მდგომარეობაზე დაგავფიქრებს. სკრინინგის პროგრამის განვითარების შედეგად წინ წამოიწია არქიტექტურული დეზორგანიზაციის შედარებით ნაკლებად ინტენსიურად გამოხატულმა მამოგრაფიულმა გამოსახულებებმა. მათი აღქმა და ინტერპრეტაცია დიდაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იცნობს რადიოლოგი ამ პათოლოგიურ მდგომარეობებსა და ჯირკვლოვან-ფიბროზული ქსოვილის შესაბამის ცვლილებებს.

ბიბლიოგრაფია:

1. Laszlo Tabar and Peter B. Dean “Teaching atlas of mammography” 2<sup>nd</sup> revised edition.1985.
2. Journal officiel de la republique francaise annexe IIIB – Cahier des charges pour les radiologues
3. Americain College of Radiology(ACR),Illustrated breast imaging reporting and data system (BI-RADS)Third Edition.1998. European guidelines for quality assurance in breast cancer screening and diagnosis ( fourth edition) Editors N.Perry, M.Broeders, C.de Wolf,S.tornberg, R.Holland, L.von Karsa. 2006
4. Mammographie et echographie mammaire de l image au diagnostic. Henri Tristant,Michel Benmussa, Jacques Bokobsa.Medecine-sciences.Flammarion
5. ძუძუს კიბოს სკრინინგისა და დიაგნოსტიკის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სახელმძღვანელო/გაიდლაინი 2009 წ
6. Pathologie mammaire A.travade, A.Isnard, H. Gimbergues . Masson.2001.
7. JFR 2012- Les images subtiles en mammographie, echographie et IRM (« Correlations radio-histologique des images subtiles »)

## ქრონიკული ტკივილის მართვის ხარისხის შეფასება საქართველოში

ონკოპრევენციის ცენტრი; უნივერსალური სამედიცინო ცენტრი; ონკოპრევენციის და პალიატიური მედიცინის ინსტიტუტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

I. Abesadze; R. Gvamichava; F. Dzotsenidze; T. Rukhadze; G. Metivishvili

### Evaluation of quality of chronic pain management in Georgia

*Cancer Prevention Center; Universal Medical Center; The Institute for Cancer Prevention and Palliative Medicine; Tbilisi State Medical University*

To live free of pain should be the most basic human rights of patients living with incurable chronic diseases. Lack of adequate education in pain management and knowledge of the new pain management protocol by primary care physicians/village doctors (PCP) denies the patients this basic right.

For decades, in Georgia the chronic pain was not treated due to the country's policy of restrictive use of controlled medicines. This caused strong opiophobia phenomena among physicians and within the society. Furthermore, and until recently the chronic pain management was not part of the educational curriculum of medical professionals at the universities, or other higher education institutes for professional development.

The MoH's vision on the chronic pain management of ambulatory patients is that it is the responsibility of the PCPs, but evaluation shows, that primary care physicians (Family doctors, village doctors) have not enough knowledge for quality pain management.

The health care policymakers and decision makers have the political will to improve the pitfalls and close the loopholes that exist in various categories influencing the effective pain management for incurable patients. To be exact the government started to improve drug availability and drug accessibility by liberating the old restrictive regulations and by the importation of different doses of long acting and immediate release oral morphine.

Today, the newly devised pain management protocol, based on international standards has the traction that combined with the political will of Ministry of Health (MoH) could lay the foundation for chronic pain management training around Georgia. This condition could be the impetus to an obligatory framework for physicians and administrative staff to adhere and comply with the modern pain treatment recommendations.

**პრობლემის აქტუალობა:** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქრონიკული ტკივილი იმ სიმპტომთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც მკვეთრად აქვეითებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, ხელს უშლის მის სრულფასოვან ფუნქციონირებას ოჯახსა და სოციალურ გარემოში და ხშირად შრომისუნაროს ხდის მას. არადა მსოფლიო გამოცდილების გაზიარებითა და ჯანმო-ს გაიდლაინების დანერგვით შესაძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა და ტკივილის პრაქტიკულად 100%-ით გაკონტროლება.

#### საშუალო და მძიმე ხარისხის ტკივილი იწვევს:

- ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ზეგავლენას;
- პაციენტის მობილობის შემცირებას;
- ძალის დაკარგვას;
- ძილის დარღვევას
- იმუნური სისტემის დაქვეითებას;
- ხელს უშლის პაციენტის ნორმალურ კვებას, კონცენტრაციის უნარს;
- ოჯახის წევრებთან ურთიერთობას;
- იწვევს ღრმა დეპრესიას, შფოთვის, სასოწარკვეთას.



**ლიტერატურის მიმოხილვა:** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონტროლირებად წამლებზე ხელმისაწვდომობის 2011 წლის პროგრამაში - „კონტროლირებად ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დაბალანსება“ - ნათქვამია, რომ:

გამოკვლევების სისტემური მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ იმ პაციენტებიდან, რომელთაც არ ჰქონიათ ნივთიერების ბოროტად გამოყენების ისტორია და რომელთაც ტკივილის შესამსუბუქებლად ჩატარდათ მკურნალობა ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების გამოყენებით, მხოლოდ 0,43%-მა გამოიყენა მედიკამენტი არადანიშნულებით და მხოლოდ 0,05%-ს განუვითარდა დამოკიდებულების სინდრომი. ეს შეიძლება აიხსნას პოსტულირებული ნეირობიოლოგიური მექანიზმით.“ \*1

1961 წლის ნარკოტიკული საშუალებათა ერთიან კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ: “ნარკოტიკულ საშუალებათა სამედიცინო მოხმარება აუცილებელია ტკივილის მოსახსნე-ლად და ტანჯვის შესამსუბუქებლად;” \*2

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ მთავ-რობებისათვის მოწოდებულია 4 ფუნდამენტური ვალდებულება, რომელთაგანაც ერთ-ერთი განსაზღვრავს “ძირითადი სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობას, ჯანმოს “ძირითადი სამკურნალო საშუალებების პროგრამის შესაბამისად” \*3

ჯანმო-ს კიბოსმიერი ტკივილის მართვისა და აქტიური დამხმარე მზრუნველობის საქსპერტო კომიტეტის მოთხოვნის თანახმად “ტკივილისაგან განთავისუფლება უნდა განიხილებოდეს როგორც თითოეული კიბოთი დაავადებული ავადმყოფის უფლება, ხოლო ტკივილგამაყუჩებელთა ხელმისაწვდომობა – როგორც ამ უფლებისადმი პატივისცემის გამოხატულება.” \* 4

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს - ნარკოტიკული საშუალებების კომისიის მიერ 2010 წლის 10 მარტს წამლის კონტროლის დანერგვისთვის შექმნილი დოკუმენტი კი მოგვიწოდებს – “საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ლეგალური წამლების სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისთვის ადეკვატური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ამავედროულად მათი დივერსიისა და ბოროტად გამოყენების პრევენციით”. \* 5 \*6

**საქართველოში ქრონიკული ტკივილის მართვასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი:**

- **წამლის ხელმისაწვდომობა:**

2005 წლიდან შემოდიოდა მხოლოდ საინექციო მორფინი;  
2009 წლიდან აღდგა ორალური მორფინის გახანგრძლივებული ფორმების შემოტანა;  
პრობლემად რჩებოდა სწრაფი მოქმედების ორალური ფორმების შესყიდვა, რომლებიც აუცილებელია ადეკვატური დოზის შერჩევისა და ტიტრაციისთვის.  
2011 წელს საქართველოში პირველად იქნა შემოტანილი სწრაფი მოქმედების ორალური მორფინი;
- **სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულაციები**

**მიღწევები:** პალიატიური მზრუნველების ექსპერტების მიერ შემუშავდა ქრონიკული ტკი-

ვილის მართვის გაიდლაინი, რომელიც აღიარებული იქნა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ;

საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით და ორგანიზაციული მხარდაჭერით მიმდინარეობს პროტოკოლზე დაფუძნებული ტრენინგები ოჯახისა და სოფლის ექიმებისთვის;

ერთ რეცეპტზე შეიძლება გამოწერილი იქნას 7 დღის მარაგი; (2008)

წამლის დანიშვნასა და რეცეპტის გამოწერაზე, ასევე ოპიოიდების დოზის და ფორმის შეცვლაზე, პასუხისმგებელია ერთი ექიმი; (2008)

პირველადი ჯანდაცვის ექიმი სოფლად, რეცეპტის გამოწერაზე პასუხისმგებელია ერთ-პიროვნულად; (2010)

ერთ რეცეპტზე შეიძლება გამოწერილი იქნას 2 ოპიოიდი ან ერთი ოპიოიდის 2 განსხვავებული ფორმა; (2010)

სახელმწიფო პროგრამა 2011 წლიდან ფარავს როგორც ონკოლოგიურ, ასევე სომატური პაციენტების საჭიროებას ოპიოიდურ საშუალებებზე.

**გამოწვევები:** ოპიოიდების გაცემა ხდება მხოლოდ კვირაში 2-ჯერ პოლიციის შენობაში განთავსებული აფთიაქებიდან; ექიმთა 60% და პაციენტი/ ოჯახის 87% გრძნობს უხერხულობას პოლიციიდან წამლის გაცემასთან დაკავშირებით!

რეგულარულად არ ხორციელდება აფთიაქებსა და პოლიკლინიკებს შორის ინფორმაციის გაცვლა არსებულ მედიკამენტებთან დაკავშირებით;

სამიზნე ჯგუფად ონკოლოგიურ პაციენტებში ჯერ კიდევ რჩება IV კლინიკური ჯგუფი; ისევე პრობლემდ რჩება ექიმის მიერ სომატური პაციენტებისთვის ოპიოიდის დანიშვნა.

- **განათლება**

**2011-2012წწ ჩატარებული სოფლის და რაიონული ცენტრების ოჯახის ექიმთა ტრენინგის ფარგლებში ტესტირების შედეგად მიღებული შედეგებუ ასე გამოიყურება:**

1. 10% არ იცის თუ ნარკოტიკული საშუალების რამდენი დღის სამყოფ რაოდენობას შეიძლება შეიცავდეს პაციენტისთვის გამოწერილი ერთი რეცეპტი.
2. 36% მა არ იცის თუ რამდენი დღის განმავლობაში არის ვარგისიანი გაცემული რეცეპტი.
3. 32% არ იცის ერთი რეცეპტის ბლანკზე დასაშვები გამოწერილი ნარკოტიკული საშუალების რაოდენობა.
4. 62% არ იცის თუ ვინ არის პასუხისმგებელი პრეპარატის მართებული დანიშვნის და გამოწერის თაობაზე.
5. 22.3 % არ იცის, რომ თუკი მკურნალობის განმავლობაში პაციენტის მდგომარეობა შეიცვალა, მაშინ ექიმმა პაციენტის მდგომარეობის შესაბამისად უნდა გასცეს ახალი რეცეპტი.
6. 24%-ი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაცია უშლის დოზის მომატებას.
7. 64% უჭირს ზუსტად განსაზღვროს ძლიერი ქრონიკული ტკივილის დროს მორფინის დანიშვნისათვის სწორი დებულებები.
8. 26% არ იცის თუ როდის უნდა დაიწყოს ტკივილის მართვა.
9. 36% უჭირს განსაზღვროს თუ პაციენტის რა ასპექტებზე ახდენს ზეგავლენას უარყოფითად ტკივილი.
10. 48%-ს უჭირს შეაფასოს რას მოიცავს ტკივილის სრულფასოვანი მართვა.
11. 32%-ს უჭირს განსაზღვროს ტკივილის პათოფიზიოლოგიური ტიპები.
12. 58%-ს მიაჩნია, რომ მორფინის მაღალი დოზები საფრთხის შემცველია.
13. 70.5 %-მა არ იცის თუ რა შემთხვევაში ითვლება პაციენტი წამალზე (ფსიქოატიურ ნივთიერებებზე) დამოკიდებულად.
14. ექიმების 18.5% არ იცის, თუ რა შემთხვევაში ისმება ქრონიკული ტკივილის დიაგნოზი.
15. 91% არ იცის თუ რა ფაქტორები განაპირობებს ყველაზე მეტად ასას პრეპარატების გამოყენებისას მათ ტოქსიურ ზემოქმედებას.

- **მიღებული შედეგების განსჯა**

შემოთმოყვანილი შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ქრონიკული ტკივილის მართვა ჯერ კიდევ მეტად აქტუალური პრობლემაა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ პალატიური მედიცინის გუნდის და ჯანდაცვის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ხელშესახები პროგრესი აღინიშნება წამლის ხელმისაწვდომობისა და ოპიოიდებელ ლეგალური ბრუნვის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ჯანმოს რეკომენდაციებს, რაც გულისხმობს „კონტროლირებად ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დაბალანსებას“, ანუ ბალანსის დაცვას წამლის არალეგალური გადინების პრევენციასა და პაციენტებისათვის მედიკამენტების ხელმისაწვდომობას შორის. ხაზგასმით აღსანიშნავია ქრონიკული ტკივილის მართვის თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული გაიდლაინის შექმნა, რომელიც განთავსებულია ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე და ხელმისაწვდომია ყველა ექიმისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტკივილის ხარისხიანი მართვის სამივე ასპექტში ჯერ კიდევ მრავალადაა გამოწვევები. არ არის სპეციფიკური ფორმები ბავშვებისათვის (მორფინის სიროფი), არ არის დამტკიცებული ესენციური მედიკამენტების განახლებული სია, კვლავაც პოლიციეს განყოფილებებიდან ხდება ოპიოიდების გაცემა და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირველადი ჯანდაცვის ექიმების ტესტირების შემოთმოყვანილი შედეგები, რომლებიც მიოუთითებს, რომ ექიმების დიდი უმრავლესობა არასაკმარისად ფლობს ქრონიკული ტკივილის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც ხშირად პაციენტებისათვის არაადეკვატური ტკივილგაყუჩებისა და ტანჯვის გახანგრძლივების მიზეზია. შესაბამისად მეტად აქტუალური რჩება პირველადი ჯანდაცვის ექიმთა ტრენინგები ქრონიკული ტკივილის მართვაში, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში.

- **დასკვნები**

1. 2005 წლიდან საქართველოში ხელშესახები პროგრესი აღინიშნება ოპიოიდების ხელმისაწვდომობისა და ლეგალური ბრუნვის მარეგულირებელ კანონმდებლობაში;
2. წამლის ხელმისაწვდომობის მხრივ ჯერ კიდევ მრავლად არის გამოწვევები როგორც მედიკამენტების ფორმების, ისე პაციენტების მიერ მედიკამენტის მიღების საკითხებში;
3. მიუხედავად 2012 წელს დამტკიცებული გაიდლაინისა, ქრონიკული ტკივილის მართვის ჯანმო-ს სამკუთხედში ყველაზე სუსტ რგოლად რჩება პირველადი ჯანდაცვის ექიმების განათლება;

**გამოყენებული წყაროები:**

1. კონტროლირებად ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დაბალანსება / WHO 2011 კონტროლირებად წამლებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა [http://www.who.int/medicines/areas/quality\\_safety/guide\\_nocp\\_sanend/en/index.html](http://www.who.int/medicines/areas/quality_safety/guide_nocp_sanend/en/index.html)
2. United Nations. *Single convention on narcotic drugs, 1961 (as amended by the 1972 protocol amending the Single Convention on Narcotic Drugs, 1961)* [http://www.incb.org/incb/convention\\_1961.html](http://www.incb.org/incb/convention_1961.html)
3. (ECOSOC) (UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, “Substantive Issues Arising in the Implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights,” General Comment No. 14, The Right to the Highest Attainable Standard of Health, E/C.12/2000/4 (2000))
4. WHO Expert Committee On Cancer Pain Relief and Active Supportive Care /1990 წლის დეკლარაცია.
5. (U.N. Commission on Narcotic Drugs in Vienna, March 2010) **Commission on Narcotic Drugs Fifty-third session** / Vienna, 8-12 March 2010 / Agenda item 9  
**Implementation of the international drug control treaties / Economic and Social Council /10 March 2010**
6. “Report of the International Narcotics Control Board on the Availability of Internationally Controlled Drugs: Ensuring Adequate Access for Medical and Scientific Purposes”INTERNATIONAL NARCOTICS CONTROL BOARD / United Nations / 2010 (E/INCB/2010/1)

კერძო კლინიკა „ოქსფორდ მედიკალ ჯორჯია“  
ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობასა და სილამაზეზე



- მოკვეთილი მკერდის აღდგენა
- მკერდის ლიპოფილინგი
- სარძევე ჯირკვლის დვრილის პლასტიკა
- ჩაბრუნებული ძუძუს თავის პლასტიკა
- მკერდის დეფორმაციის კორექცია

**მოგვმართეთ დღესვე**

თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №15

ტელეფონი: **2294747**

საუკეთესო ექიმები საუკეთესო კერძო კლინიკაში

 [www.facebook.com/OxfordMedicalGeorgia](http://www.facebook.com/OxfordMedicalGeorgia)

[www.oxford-med.ge](http://www.oxford-med.ge)

დ. თაბაგარი

## სპეციალობა – სამედიცინო ონკოლოგი

“მედულა - ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიის კლინიკა”, თბილისი.

**D. Tabagari**

*“Medulla- Chemotherapy and Immunotherapy Clinic”, Tbilisi.*

### **Abstract:**

Medical oncologist is a doctor, which knows that management of patients with malignant diseases needs a multidisciplinary approach and integration of different treatment methods. Main points medical oncologist needs to know are: Basics of cancer biology; Main principles of anticancer therapy; Management of treatment related adverse events; Palliative treatment; Main principles of Clinical trials. The main objectives of Medical oncology are to improve the quality of patient treatment and care, to set standards of clinical competence for the practice of medical oncology. With the increasing internationalization of health care, exchange of specialists, and rapid flow of information across borders, it was important to develop a set of common guidelines with a global perspective for the clinical training required for physicians to qualify as medical oncologists.

ბოლო ათწლეულებში განვითარებული მედიცინის ტექნოლოგიები და ფუნდამენტური ცოდნის გაფართოება კიბოს ბიოლოგიაში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ჩვენს მიღწევებს და დიდ ზეგავლენას ახდენს: გენეტიკურ კვლევებზე, სკრინინგზე, ადრეულ დიაგნოსტიკაზე, სტადირებაზე, კიბოს მკურნალობაზე. ამგვარი მიღწევების მიტანა თითოეულ პაციენტთან მოითხოვს მულტიდისციპლინარულ მიდგომას. ამ მიზანს დასაველეთში მიაღწიეს სამედიცინო ონკოლოგის სპეციალობის შემოღებით 48 წლის წინ.

### **ვინ არის სამედიცინო ონკოლოგი?**

თერაპიული პროფილის ექიმი, რომლის ფუნქციაა ონკოლოგიური პაციენტების დაავადებების მენეჯმენტი, რომელსაც გათვითცნობიერებული აქვს, რომ ავთვისებიანი დაავადების მკურნალობაში ოპტიმალური შედეგი მიიღწევა მულტიდისციპლინური მიდგომით და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების ინტეგრაციით.

ძირითადი დისციპლინები, რომელსაც უნდა ფლობდეს სამედიცინო ონკოლოგი:

- A. სიმსივნის ბიოლოგიის საბაზისო ცოდნა;
- B. სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიის ძირითადი პრინციპები;
- C. მკურნალობით გამოწვეული გართულებების მართვა;
- D. პალიატიური მზრუნველობა;
- E. კლინიკური კვლევების ჩატარების პრინციპები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია.

## **A1 სიმსივნის ბიოლოგია**

1. ნორმალური უჯრედის ბიოლოგია და კარცინოგენეზის ძირითადი მექანიზმი;
2. გენის სტრუქტურა, გენეტიკური მასალის ორგანიზება, ექსპრესია და რეგულაცია;
3. უჯრედის ციკლის ფუნდამენტური მნიშვნელობა, მისი კონტროლი ონკოგენებით და ჩატარებული თერაპიით;
4. კინეტიკური მექანიზმები სიმსივნურ უჯრედში, პროლიფერაციის პროცესი, აპოპტოზი და ბალანსი აპოპტოზსა და უჯრედულ პროლიფერაციას შორის;
5. კარგად უნდა ესმოდეს PCR და ქრომოსომული ანალიზი, ასევე სხვა მეთოდები რომლებიც გამოიყენება უჯრედის ბიოლოგიაში.

## **A2 სიმსივნის იმუნოლოგია**

1. საბაზისო ცოდნა იმუნიტეტის უჯრედულ და ჰუმორულ კომპონენტებზე და ციტოკინების მარეგულირებელ როლზე იმუნურ სისტემაში;
2. უნდა ხედავდეს კავშირს სიმსივნესა და ორგანიზმის იმუნურ სისტემას შორის, სადაც იგულისხმება სიმსივნის ანტიგენობა;
3. იმუნოდამოკიდებული, ჰუმორული და უჯრედული ციტოტოქსიურობა.

## **A3 ეტიოლოგია, ეპიდემიოლოგია სკრინინგი და პროფილაქტიკა**

1. გენეტიკური და გარემო ფაქტორების როლი ონკოგენეზში;
2. ეპიდემიოლოგიის საფუძვლები, სკრინინგის პრინციპები და სიმსივნის განვითარების რისკის შეფასება;
3. ტესტების სპეციფიურობა და მგრძობელობა, ფასისა და სარგებელის შეფარდება;
4. სიტუაციები, როდესაც სკრინინგი ასრულებს ძირითად როლს და ის სიტუაციები სადაც სკრინინგის როლი არ არის გადამწყვეტი;
5. პრინციპები და ჩვენებები სკრინინგის და გენეტიკური კონსულტაციების ჩასატარებლად, რომელიც საჭიროა ინტერვენციული ჩარევების შესამცირებლად;
6. ქიმიოპროფილაქტიკის შესაძლებლობები, განსაკუთრებით ისეთ სიმსივნეებში, როგორცაა ძუძუს კიბო, მსხვილი ნაწლავისა და პროსტატის კიბო;
7. სიმსივნის პროფილაქტიკის პირველადი, მეორადი და მესამეული საშუალებები;
8. პრინციპები და ჩვენებები სკრინინგის და გენეტიკური კონსულტაციების ჩასატარებლად, რომელიც საჭიროა ინტერვენციული ჩარევების შესამცირებლად.

## **B1 ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობისა და კონტროლის ძირითადი პრინციპები**

ავთვისებიანი სიმსივნეების თანამედროვე მკურნალობა მოითხოვს ბევრი ვიწრო სპეციალობის გამოცდილების კოოპერაციას და მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომლის ინიციატორი და ცხოვრებაში გამტარებელი უნდა იყოს სამედიცინო ონკოლოგი.

1. ამ მიზნის განხორციელებისთვის უნდა იცოდეს რა წვლილის შეტანა შეუძლია თითოეულ სამედიცინო დისციპლინას დიაგნოსტიკაში, სტადირებასა და ძირითადი დაავადების და მისი გართულებების მკურნალობაში;
2. ჰქონდეს ინფორმაცია თითოეული ამ დისციპლინის შესახებ, იმისთვის რომ ჰქონდეს წარმოდგენა მათ უპირატესობასა და ნაკლოვანებაზე;
3. შეეძლოს თანმხლები დაავადებების გამოვლენა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს მკურნალობის ტოქსიურობასა და ეფექტურობაზე.

## **B2 პათოლოგიური ანატომია, ლაბორატორიული კვლევები და მოლეკულური ბიოლოგია**

1. იცოდეს, რომ დიაგნოზი ავთვისებიანი სიმსივნე დგინდება მასალის ჰისტოლოგიური და ციტოლოგიური კვლევით;
2. ჰქონდეს გაცნობიერებული პათოლოგანატომის როლი ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზსა და დაავადების გაგრძელების ხარისხის დადგენაში;
3. იცნობდეს ჰისტოლოგიური ანალიზის თანამედროვე მეთოდებს და მათ მნიშვნელობას სტადიის დადგენასა და მკურნალობის მეთოდის შერჩევისთვის;
4. იცოდეს რომელი ლაბორატორიული კვლევები არის ოპტიმალური დაავადების სტადიის დასადგენად, მკურნალობის ასარჩევად და პაციენტის შემდგომი დაკვირვებისთვის;
5. იცოდეს ბიომარკერების პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც პროგნოზული ფაქტორების, ასევე პრედიქტორის როლში.

## **B3 ვიზუალუზაციის მეთოდების პრინციპები და თანმიმდევრობა**

1. ვიზუალუზაციის პრინციპები და თანმიმდევრობა;
2. მეთოდების შესაძლებლობები და შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება გარკვეულ კლინიკურ სიტუაციაში;
3. რენტგენისა და სხვა გამოკვლევის მეთოდები ინტერპრეტირება მკურნალობის შერჩევისას;
4. სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიის შეფასები კრიტერიუმები (RECIST).

## **B4 სტადირება**

1. TNM კლასიფიკაცია და სტადიის განსაზღვრის მეთოდი;
2. კლინიკური, რადიოლოგიური და რადიონუკლეიდური გამოკვლევების რიგითობა დიაგნოზის დასმისა და მეთვალყურეობის დროს;
3. დიაგნოსტიკური მეთოდების მონაცემებით ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შეფასება.

## **B5 მკურნალობა**

1. სამედიცინო ონკოლოგი უნდა იყოს მომზრე და ინიციატორი მულტიდისციპლინური მიდგომისა ავთვისებიანი დაავადების მქონე პაციენტების მკურნალობაში;
2. მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაში, განსაკუთრებით დაავადების დაწყებით სტადიაზე;
3. უნდა შეეძლოს ქირურგიული ჩვენებების და უკუჩვენებების განსაზღვრა;
4. უნდა ესმოდეს ქირურგის როლი სტადიის განსაზღვრაში, განკურნებასა და პალიატიური მკურნალობის ჩატარებაში;
5. უნდა შეეძლოს ქირურგიული მოდგომის, როგორც ძირითადი მეთოდის რისკისა და სარგებლის განსაზღვრა;
6. ჩვენებები ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციების და შემდგომი ქირურგიული ჩარევების, ასევე სხვა სამკურნალო მეთოდების გამოყენებისას;
7. პოსტოპერაციული გართულებები.

## **B6 რადიაციული ონკოლოგია**

1. სხივური თერაპიის ჩვენებები როგორც პალიატიური, ასევე სამკურნალო დანიშნულებით. იგულისხმება ალუვანტური, ნეოალუვანტური და თანმხლები სხივური თერაპია;
2. სხივური თერაპიის დაგეგმარების და დოზიმეტრიის ძირითადი პრინციპები;
3. სპეციალური მეთოდების მნიშვნელობა, როგორც არის IMRT, სტერეოტაქტური, ბრაზი,

პროტონ და რადიოიზოტოპური თერაპია;

4. სხვადასხვა ქსოვილებისა და ორგანოების სხივური თერაპიის მგრძობელობა. ასევე რისკი მწვავე, მოგვიანებითი და კუმულაციური გართულებებისა;
5. სხივური თერაპიის ჩატარების შესაძლებლობა ერთდროულად ან თანმიმდევრობით სისტემურ ქიმიოთერაპიასთან.

## **B7 სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები**

1. კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების დანიშვნის ჩვენება და უკუჩვენება პირველადი და რეციდიული ფორმების სიმსივნეების დროს;
2. სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტების სარგებელი ნეო ადუვანტური, თანმხლები, ადუვანტური რეჟიმების დროს;
3. დოზირებისა და მკურნალობის გადავადების მნიშვნელობა;
4. თანმხლები დაავადებების შეფასება.

## **B8 ბიოლოგიური თერაპია**

1. ბიოლოგიური თერაპიის მნიშვნელობა და მისი ურთიერთქმედება ქიმიოთერაპიასთან;
2. მათი გვერდითი მოვლენები და გვერდითი მოვლენების მენეჯმენტი;
3. ტარგეტული მოლეკულური მკურნალობის თერაპიის ძირითადი პრინციპები: მონოკლონური ანტისხეულები, თიროზინ კინაზას მცირე ინჰიბიტორები, სიმსივნის ვაქცინები.

## **C მკურნალობის გართულებები**

### **C1 ინფექციები**

ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციების პრევენცია, მკურნალობა და მენეჯმენტი.

### **C2 ნეიტროპენიული ცხელება**

1. ცხელება ნეიტროპენიის მქონე პაციენტებში არის ურგენტული შემთხვევა და საჭიროებს სწორი და სწრაფი მენეჯმენტის ცოდნას;
2. პაციენტის მიდგომის შეფასება MASCC რისკის ინდექსით და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვა;
3. ჰემოპოეზური ზრდის ფაქტორების გამოყენების ჩვენებები.

### **C3 მკურნალობის სხვა გართულებები**

ალოპეცია:

1. რომელი სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობა იწვევს ალოპეციას;
2. უნდა შეძლოს პაციენტისთვის რჩევის მიცემა პარიკის, თავსაფარის ან სხვა დასაფარებელი საშუალების შესახებ.

### **C4 სისხლდენა და თრომბოზი**

1. უნდა იცოდეს რომელი თერაპია არის ასოცირებული თრომბოზულ გართულებასთან, მათ შორის ტამოქსიფენი, თალიდომიდი და ანტიანგიოგენური საშუალებები;
2. როგორ დასვას ღრმა ვენების თრომბოზის, ფილტვის ემბოლიის და არტერიული თრომბოემბოლიის დიაგნოზი;
3. ანტიკოაგულაციური თერაპიის, თრომბოციტული მასისა და გაყინული პლაზმის გადასხმის ჩვენებები და გართულებები.

## **C5 კარდიოლოგიური გართულებები**

1. უნდა იცოდეს თუ რომელი მედიკამენტი არის დაკავშირებული გულის ფუნქციურ დაზიანებასთან (ანტრაციკლინი, ტრანსტუზუმაბი და რადიოთერაპია);
2. რომელი მედიკამენტი იწვევს გულის იშემიურ დაზიანებას;
3. გულის იშემიური დაზიანების მართვა მეორადად ფლუოროპირიმინებისა და სხვა სიმსინის საწინააღმდეგო აგენტების გამოყენებისას;
4. QT ინტერვალის გახანგრძლივების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მისი გამომწვევი რისკ ფაქტორები;
5. სხვადასხვა ანტიანგიოგენეზური აგენტების მიერ გამოწვეული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

## **C6 კათეტერის მენეჯმენტი**

1. კათეტერებისა და პორტის გამოყენების ჩვენებები და უკუჩვენებები;
2. კათეტერით გამოწვეული სეფსისის მართვა;
3. კათეტერის ამოღების ჩვენება;
4. კათეტერ ასოცირებული თრომბოზული მოვლენების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
5. ექსტრავაზაციის დიაგნოზი და მკურნალობა.

## **C7 ელექტროლიტური დისბალანსი**

1. უნდა იცოდეს რომ ციტოტოქსიური (პლატინა, ანტი-EGFR) ტარგეტული თერაპია იწვევს ელექტროლიტურ დისბალანსს;
2. Ca, Mg, P, K ,მარდმუავას დისბალანსით გამოწვეული სიმპტომების და გართულებების მენეჯმენტი;
3. “სიმსივნის დაშლის სინდრომის ” (tumor-lysis syndrome) მართვა.

## **C8 თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა**

1. თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობის მკურნალობა, რომელიც ვითარდება სხივური თერაპიის, ანტისეხულებით თერაპიით და ეგზოგენური გლუკოკორტიკოიდების სწრაფი მოხსნით;
2. თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობით გამოწვეული ლაბორატორიული მონაცემების ინტერპრეტაცია.

## **C9 ჰიპოთიროიდიზმი**

1. ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა ჰაციენტებში ვინც იტარებს მკურნალობას მულტი-ტარგეტული კინაზას ინჰიბიტორებით, თავ-კისრის სხივურ თერაპიას.

## **C10 ჰიპერგლიკემია**

1. უნდა იცოდეს ჰიპერგლიკემიის მართვა და მისი გამომწვევი აგენტები, როგორც არის კორტიკოსტეროიდები და IGFR-1R ; PI3K/mTOR გზის ინჰიბიტორები;
2. ჰიპერგლიკემიის მენეჯმენტი.

## **C11 ლიპიდური ცვლის დარღვევა**

ჰიპერქოლესტერინემია და ჰიპერტრიგლიცერინემია ასოცირებულია ჰორმონალურ და ტარგეტულ თერაპიასთან.

## **C12 ტარგეტული თერაპიით გამოწვეული**

ლიპაზის და ამილაზის მომატების დიაგნოსტიკა და მკურნალობა

### **C13 დადლილობა**

დადლილობის ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური მკურნალობის სტრატეგია

### **C14 გულისრევა და ღებინება**

1. ონკოლოგიურ პაციენტებში გულისრევის და ღებინების გამომწვევი სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორები;
2. უნდა იცოდეს ქიმიოთერაპიით გამოწვეული გულისრევა/ღებინების ტიპები (მწვავე, მოგვიანებითი, anticipatory);
3. უნდა იცოდეს ემეტოგენური პოტენციალის მიხედვით ქიმიოთერაპიული აგენტების კლასიფიკაცია (მაღალი, საშუალო, დაბალი, მინიმალური ემეტოგენობა), ორალური და ინტრავენური ანტიემეზური მედიკამენტების ფარმაკოლოგია და მოქმედების მექანიზმი და მათი გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

### **C15 ფადარათი და ყაბზობა**

1. სხვადასხვა ეტიოლოგიით გამოწვეული კუჭნაწლავის მოქმედების ცვლილებების მექანიზმი კიბოს მქონე პაციენტებში;
2. ანტი-საფადარათო მედიკამენტების მოქმედების მექანიზმი და მათი გამოყენების ჩვენებები.

### **C16 ჭრილობის შეხორცება/გასტროინტესტინალური პერფორაცია**

1. ანტიანგიოგენეზური საშუალებები (მაგ. ბევაციზუმაბი) ხელს უშლის ჭრილობის შეხორცებას და ზრდის გასტროინტესტინალური პერფორაციის რისკს;
2. უნდა იცოდეს ანტიანგიოგენეზური მედიკამენტების გამოყენება აუცილებელია შეწყდეს ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ მინიმუმ 4-6 კვირა ან ჭრილობის შეხორცებამდე.

### **C17 ჰეპატოტოქსიურობა**

1. ციტოტოქსიური და ტარგეტული თერაპია იწვევს ჰეპატოტოქსიურობას და ვენოკლუზიურ გართულებებს.

### **C18 ჰიპერსენსიტიურობა**

1. მონოკლონურმა ანტისხეულებმა და ციტოტოქსიურმა აგენტებმა შესაძლოა გამოიწვიონ მწვავე ჰიპერსენსიტიური რეაქცია;
2. ჰიპერსენსიტიური რეაქციის ამოცნობა და მკურნალობა;
3. პრემედიკაციის ჩვენება;
4. მოგვიანებითი ჰიპერსენსიტიური რეაქციის დიაგნოზირება და მენეჯმენტი.

### **C19 ფერტილობა/სტერილობა/სექსუალობა**

1. ფერტილობის და სტერილობის განვითარების რისკის შესახებ პაციენტის ინფორმირების საჭიროება;
2. უნდა იცოდეს, რომ რიგ შემთხვევებში საჭიროა პაციენტის გადამისამართება სპეციალიზირებულ კლინიკაში მკურნალობის დაწყებამდე;
3. უნდა იცოდეს, რომ აუცილებელია ღია დისკუსია სექსუალური დარღვევების შესახებ.

### **C20 მიელოსუპრესია**

1. მიელოსუპრესიის დიაგნოზირება და მკურნალობა;
2. სისხლის პროდუქტების ტრანსფუზია, ჰემატოპოეზური ზრდის ფაქტორებისა და ანტიბიოტიკების გამოყენების ჩვენებები.

## **C21 ნეფროტოქსიურობა**

1. რომელი ციტოტოქსიური აგენტი არის ასოცირებული საშარდე ტრაქტის დაზიანებასთან, როგორცაა პლატინა, იფოსფამიდის მიერ გამოწვეული ჰემორაგიული ცისტეტი;
2. თირკმლის ფუნქციის პროტექცია;
3. თირკმლის დაზიანების რისკი ახალი მოლეკულური თერაპიის გამოყენებისას.

## **C22 ნეიროტოქსიურობა**

1. უნდა იცოდეს თუ რომელი პრეპარატი არის ასოცირებული ნეიროტოქსიურობასთან;
2. ნეიროტოქსიურობის ხარისხის დადგენა;
3. დოზის ან სქემის ცვლილების აუცილებლობა ნეიროტოქსიურობის დროს.

## **C23 მუკოზიტი**

1. იცოდეს როგორ მოახდინოს მკურნალობით გამოწვეული მუკოზიტების პრევენცია, დიაგნოზირება და მენეჯმენტი;
2. ორალური ჰიგიენის, ტკივილის და მეორადი ინფექციის მენეჯმენტი;
3. ენტერალური და პარენტერალური კვების საჭიროების განსაზღვრა გახანგრძლივებული მუკოზიტის დროს.

## **C24 ქსეროსტომია**

1. ქსეროსტომია არის ხშირი გართულება თავ-კისრის სხივური თერაპიის შემდეგ;
2. უნდა იცოდეს არაფარმაკოლოგიური და ფარმაკოლოგიური მკურნალობის ტიპები.

## **C25 ფილტვისმიერი ტოქსიურობა**

1. უნდა იცოდეს ფილტვისმიერი გართულება, როგორც არის პნევმონიტი;
2. უნდა იცოდეს პნევმონიტის მკურნალობის მეთოდები.

## **C26 მეორადი სიმსივნეები**

1. მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების გამოყოფა;
2. უნდა იცნობდეს სკრინინგის ეფექტურ მეთოდებს.

## **C27 კანის ტოქსიურობა**

1. დერმატოლოგიური გართულების დიაგნოზირება და მკურნალობა;
2. უნდა იცოდეს, რომ ეს ცვლილებები იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს და შეეძლოს მისი მართვა.

## **D1 დამხმარე და პალიატიური მკურნალობა**

1. უნდა იცოდეს კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობის დროს რა სახის დამხმარე მკურნალობაა საჭირო, სწორედ დანიშნოს იგი;
2. როგორ ჩაატაროს არსებული მკურნალობა და მართოს ამ მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენები;
3. თუ რას ნიშნავს პალიატიური მზრუნველობა და როდის არის მისი დანიშვნა საჭირო, ვინაიდან ის წარმოადგენს სამედიცინო ონკოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს.

## **D2 ონკოლოგიის როლი პალიატიურ მზრუნველობაში**

სამედიცინო ონკოლოგიის მოვალეობაა პაციენტზე ზრუნვა დიაგნოზის დასმიდან დაავადების მიმდინარეობის ბოლომდე. სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობასთან ერთად საჭიროა

სიმპტომების კონტროლი, ფსიქოსოციალური დახმარება და ისეთი სერვისის უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც მოხდება პაციენტზე და მისი ოჯახის წევრებზე ზრუნვა მკურნალობის ყველა ეტაპზე.

### **D3 ინტერდისციპლინარული მზრუნველობა**

სამედიცინო ონკოლოგი უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ შორსწასული კიბოს მქონე პაციენტების მართვა საჭიროებს სხვადასხვა სპეციალობის ექიმების ერთიანობას: ექთანი, სოციალური მუშაკი, ანესთეზიოლოგი, პალიატიური მზრუნველობის ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, მღვდელი. ონკოლოგიური პაციენტები საჭიროებენ რეაბილიტაციას, ფიზიკურ, ოკუპაციურ და მეტყველებით თერაპიას. სამედიცინო ონკოლოგს უნდა შეეძლოს ინტერდისციპლინარული მზრუნველობის დაგეგმვა და კოორდინირება.

### **D4 ტკივილი**

სამედიცინო ონკოლოგი უნდა იყოს ექსპერტი კიბოთი გამოწვეული ტკივილის შეფასებაში და მართვაში უნდა იცოდეს:

1. სწორად შეაფასოს და მართოს კიბოთი გამოწვეული ტკივილი;
2. გამოიყენოს ტკივილის შეფასების შკალა;
3. იცოდეს კიბოთი გამოწვეული ტკივილის პათოფიზიოლოგია და მოქმედების მექანიზმი;
4. უნდა იცოდეს კიბოთი გამოწვეული ტკივილის სინდრომისთვის დამახასიათებელი ყველა კლინიკური მახასიათებელი და საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურები.

### **D5 ფარმაკოთერაპია.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. კიბოთი გამოწვეული ტკივილის სამართავად გამოყენებული მედიკამენტების ფარმაკოლოგია და ტოქსიურობა;
2. ჰქონდეს გამოცდილება ტკივილგამაყუჩებელი მკურნალობის საჭიროებისამებრ დაწვების, მათი ტიტრაციის და ტკივილის მოხსნის ადექვატობის შეფასების;
3. იცოდეს ოპიოიდების გვერდითი მოვლენების შეფასება და მათი მართვა;
4. ასევე უნდა შეეძლოს დამხმარე ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების დანიშვნა ნეიროპათიული, ვისცერული და ძვლის ტკივილის დროს.

**D6 ტკივილის მართვა.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს ტკივილის მართვის დროს პირველადი ანტისიმპტომური მკურნალობის როლი (მგ: რადიოთერაპიის და ქირურგიის როლი ზურგის ტვინის კომპრესიის და მოტეხილობის დროს). მან უნდა იცოდეს მძიმე თუ რეფრაქტორული ტკივილის დროს რა ხერხს მიმართოს: პაციენტი გაუშვას პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტთან, ჩაუტაროს ინვაზიური ან ნეიროაბლაციური პროცედურები თუ მიმართოს სედაციას, როგორც საბოლოო საშუალებას მომაკვდავი პაციენტისთვის რეფრაქტორული ტკივილის შესამსუბუქებლად

**D7 სიმპტომების შეფასება და მართვა.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს კიბოს მქონე პაციენტებისთვის ისეთი ხშირად დამახასიათებელი ფიზიკური სიმპტომების შეფასება, როგორიცაა: დისპნოე, გულისრევა, ღებინება, ყაბზობა, ფალარათი და კიბოსთან დაკავშირებული სისუსტე

### **D8 დისპნოე.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. გაატაროს დისპნოეს დიფერენციალური დიაგნოზი შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. შეძლოს აღმოაჩინოს პოტენციურად გამოსწორებადი მიზეზები;
3. იცოდეს თუ რომელი სპეციფიური მკურნალობის მეთოდები გამოიყენოს;
4. იცოდეს თუ როგორ და როდის გამოიყენოს ოპიოიდები სიმპტომური დისპნოეს სამართავად.

**D9 გულისრევა და ღებინება.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. გაატაროს გულისრევა/ღებინების დიფერენციალური დიაგნოზი შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. შეძლოს აღმოაჩინოს პოტენციურად გამოსწორებადი მიზეზები;
3. იცოდეს ანტიემეტური მედიკამენტების ფარმაკოლოგია და მათი საჭიროებისამებრ გამოყენება.

**D10 ყაბზობა.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. ყაბზობის გამომწვევი ფაქტორები შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. განასხვავოს ყაბზობა ნაწლავთა ობსტრუქციისგან;
3. იცოდეს თუ როგორ აიცილოს თავიდან ყაბზობა;
4. შეძლოს ჩაუტაროს დამხმარე მკურნალობა და გამოუწეროს შესაბამისი მედიკამენტი.

**D11 ფაღარათი.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. ფაღარათის გამომწვევი ფაქტორები და მკურნალობის სტრატეგიები შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. შეძლოს აღმოაჩინოს პოტენციურად გამოსწორებადი მიზეზები;
3. აღმოაჩინოს ობსტრუქციის მაღალი რისკის მქონე პაციენტები;

**D12 კიბოსთან დაკავშირებული სისუსტე.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. სისუსტის გამომწვევი რისკ ფაქტორები, მისი მოსალოდნელი განვითარება და ხანგრძლივობა შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. შეძლოს აღმოაჩინოს პოტენციურად გამოსწორებადი მიზეზები, შეარჩიოს და დანიშნოს შესაბამისი ფარმაკოლოგიური და დამხმარე მკურნალობა.

**D13 დელირიუმი .** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. შეძლოს გაატაროს დელირიუმის დიფერენციალური დიაგნოზი შორსწასული კიბოს მქონე პაციენტებში;
2. შეძლოს აღმოაჩინოს გამომწვევი სამედიცინო მიზეზები;
3. იცოდეს დელირიუმის მკურნალობის სტრატეგიები და ანტიფსიქოზური მედიკამენტის გამოყენება.

**D14 ანორექსია/კახექსია და შიმშილი.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. შეძლოს განასხვავოს შიმშილი კახექსიისგან;
2. იცოდეს კიბოთი გამოწვეული კახექსიის პათოფიზიოლოგია;
3. შეძლოს დაგეგმოს შიმშილის სინდრომის და კიბოსთან დაკავშირებული კახექსიის მკურნალობის სამართავი გეგმა;
4. გააცნობიეროს პოტენციური სარგებელი, შეზღუდვები და მკურნალობასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები.

**D15 კიბოს გართულებების მართვა.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს კიბოს გართულებების შეფასება და ადეკვატური მართვა. (ძვლის მეტასტაზური დაზიანება, თავის ტვინის მეტასტაზები, ლვიძლის მეტასტაზები და ნაღვლოვანი ობსტრუქცია, ავთვისებიანი გამონაჟონი, პერიკარდიული და პერიტონეალური გამონაჟონი, ანორექსია და კახექსია, ჰემატოლოგიური გართულებები, ნევროლოგიური და სქესობრივი დისფუნქცია).

**D16 კომუნიკაცია.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს ეფექტურად დაამყაროს კომუნიკაცია კიბოს მქონე პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან. ასევე სწორად მიაწოდოს ინფორმაცია მათი დიაგნოზის, მკურნალობის, პროგნოსის, პოტენციური რისკების, ტოქსიურობის, მოსალოდნელი შედეგების და სიკვდილის შესახებ.

**D17 კიბოთი გამოწვეული ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალური სიმპტომების შეფასება და მართვა.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. გაითავისოს თუ რა ზეგავლენას ახდენს კიბო პაციენტების ფსიქოსოციალურ მდგომარეობაზე;
2. პატივი სცეს პაციენტის სულიერ კონფლიქტს მის ღიაგნოზთან და ჩატარებულ მკურნალობასთან დაკავშირებით.

**D18 თვით ზრუნვა/Self Care.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. შეძლოს განსაზღვროს ის ფაქტორები, რომელიც გამოიწვევს პაციენტის გადაღლას;
2. შეძლოს განასხვავოს პაციენტის გადაღლა დეპრესიისგან. გააფრთხილოს პაციენტი შესაძლო სიმპტომებზე და უთხრას დაუკავშირდეს მას რაიმე ჩივილის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება მის გადაღლასთან და გადაამისამართოს იგი სპეციალისტთან ჩივილების გამწვავების შემთხვევაში (დეპრესიასთან ან სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებით).

**D19 ტერმინალურ სტადიაზე მზრუნველობა/End of Life Care**

სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. განსაზღვროს თუ როდის უნდა შეწყვიტოს ანტიბიოტიკური მკურნალობა;
2. შეცვალოს მკურნალობის ტაქტიკა;
3. განსაზღვროს დაავადების მოსალოდნელი კლინიკური მიმდინარეობა;
4. შეაფასოს მოსალოდნელი სიკვდილის ნიშნები და სიმპტომები, უზრუნველყოს პაციენტის მაქსიმალური კომფორტი და ოჯახის წევრების დახმარება. ისინი ასევე ინფორმირებულიები უნდა იყვნენ სიკვდილიანობის წინა პერიოდში პაციენტის მზრუნველობისთვის თუ რა საშუალებები არსებობს. ესენია: ბინაზე მოვლა, სტაციონალური მომსახურება, პოსპისი.

**D20 რეაბილიტაცია.** სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. ფიზიკური ( physical therapy);
2. ოკუპაციური;
3. მეტყველების;
4. ყლაპვის მკურნალობის როლი კიბოს მქონე პაციენტებში;

**F. კლინიკური კვლევების ჩატარების პრინციპები და მათი შედეგების ინტერპრეტაცია**

სამედიცინო ონკოლოგმა უნდა იცოდეს:

1. კლინიკური კვლევის დიზაინი;
2. I ფაზის კვლევა;
3. II ფაზის კვლევა;
4. III ფაზის კვლევა;
5. ეთიკური ასპექტები კვლევის დიზაინში;
6. რეგულატორული ასპექტები კვლევის დიზაინში;
7. სტატისტიკის ბაზისები (მათ შორის სტატისტიკური მეთოდები, პაციენტთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა კვლევის დიზაინირებისას, მონაცემთა სწორი ინტერპრეტირება);
8. ტოქსიურობისა და გვერდითი მოვლენების ხარისხის დადგენა;
9. ეთიკური კომისიის როლი კლინიკურ კვლევაში;
10. პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა;
11. გრანტის განსაზღვრის ინსტრუქცია;
12. თერაპიის მკურნალობა და ფასის ეფექტურობა;

13. აბსტრაქტების მომზადების ინსტრუქცია;
14. ზეპირი და ვიზუალური პრეზენტაციის მომზადების ინსტრუქცია;
15. არტიკლების წერის ინსტრუქცია;
16. კვლევების განვითარების და შესრულების კოოპერაცია ინტერნაციონალურ ჯგუფთან ერთად.

### **ბიბლიოგრაფიული სია:**

1. Hansen HH, Bajorin DF, Muss HB; Purkalne G, Schrijvers D, and Stahel R Recommendations for Global Core Curriculum for Training in Medical Oncology. *An Onc* 2004; 15:1603-12.
2. Hansen HH, Bajorin DF, Muss HB; Purkalne G, Schrijvers D, and Stahel R. Recommendations for Global Core Curriculum for Training in Medical Oncology. *J Clin Onc* 2004; 28:4616-25.
3. Hansen H.H., Jezdic D., Bokemeyer C. ESMO-ASCO-Empfehlungen für ein Global Core Curriculum in Medical Oncology. *Forum* 2008; 23:42-4
4. <http://www.asco.org/ASCOv2/Education+%26+Training/International+Education/Global+Oncology+Curriculum>
5. Wagener DJ, Vermorken JB, Hansen HH et al. The ESMO-programme of certification and training for medical oncology. *Ann Oncol* 1998; 9: 585–587.

მ. ჯანჯალია

## ინტრაოპერაციული სხივური თერაპია - ძუძუს კიბოს თანამედროვე მკურნალობის ასპექტები

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

M. Janjalia

### **Intra-operative Radiotherapy- Modern aspects of breast cancer treatment**

*Tbilisi Cancer Centre*

Breast cancer is one of the most widely distributed malignant process in the world. Each year its incidence is significantly rising and involves younger population. Many countries in the world call this disease number one enemy. Latter problem is also very significant in Georgia. Unfortunately, because of the absence of cancer cases registration, it is difficult to tell exact numbers, but according to hospital registration approximately 2000-2500 new cases occur annually. It is also unfortunate that the rate of high stage cancer is high in our case. Countrywide the most effective way to fight this problem is preventive measures. Implementation of screening programs made significant changes in the disease structure that provided base for earlier detection of the disease.

We'll talk about the intra-operative radiotherapy based on the X- rays, which is performed by using the **INTRABEAM Radiotherapy System from Carl Zeiss**. It has been one year that this technique has been operating in Tbilisi Cancer Centre. During this period 42 patients received the treatment.

Due to the low penetration (the maximum penetration 2cm), **INTRABEAM** radiotherapy is not dangerous for organs at risk. But at the same time it is highly effective given as a single dose of 20 Gy. During this type of treatment we were guided by principles of saving at risk organs while at the same time preserving the effectiveness of the treatment. Duration of intra-operative radiotherapy is maximum 1 hour and is performed directly during the operation.

Combination with external beam radiation allows reduction of the radiation dose, that also reduces the time required for the treatment from 6 weeks to 4 weeks. Reduction of radiation dose also allows salvage of the at risk organs.

As we noted, we have been using this technique for 1 year. We fully understand that in such a short period of time it is difficult to give reliable comparisons and results, but we still consider interesting to make the comparative analysis. Analysis was guided by the following criteria:

- Patients aged 50-60
- Lymph node status-negative
- Grade 2 or less
- Her 2Neu-negativity

We have created 3 groups:

1. 7 patients, who were treated only with intra-operative radiotherapy.
2. 8 patients who were treated with combined radiation therapy with external beam radiation.
3. 10 patients who were treated only with external beam radiation

In all three groups of patients primary tumor size was no more than 2.2 centimeters. Observation period ranges from 1 year to 10 month. During this period, no serious complications were noted from patients. None of the patients had either recurrence or any distant metastasis. Two patients from the second group and six patients from third group had radiation induced burns, which were eliminated in two months. Changes of breast skin color and elasticity were noted in 3 patients from the second group, 1 patient from the first group (less expressed), 6 patients from the third group. These data shows that visual and aesthetic results are much higher with intra-operative radiotherapy than external beam radiation. Certainly this is one of the most important aspects of maintaining quality of life. These groups are still under the active observation.

სარძევე ჯირკვლის კიბო მსოფლიოში ერთერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ავთვისებიანი პროცესია. ყოველწლიურად აღინიშნება დაავადების მკვეთრი ზრდა და გაახალგაზრდევება. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამ პათოლოგიას ნომერ პირველ მტერს ეძახის. აღნიშნული პრობლემა საქართველოსთვისაც მეტად აქტუალურია. სამწუხაროდ კიბოს რეგისტრის არარსებობის პირობებში ძნელია დაავადების ზუსტი რაოდენობის შესახებ საუბარი, მაგრამ თუნდაც ჰოსპიტალური რეგისტრების მონაცემების გათვალისწინებით სავარაუდოდ ყოველწლიურად 2000-2500 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ისიც სამწუხაროა, რომ ჩვენთან ხშირია მაღალი სტადიის დაავადებების წილი. ქვეყნის მაშტაბით ამ პრობლემასთან ბრძოლის ყველაზე ქმედით მეთოდად ითვლება პრევენციული ღონისძიებების ჩატარება. სკრინინგ პროგრამის ამოქმედებამ დიდი ცვლილებები შეიტანა დაავადების სტრუქტურაში, რაც მისი უფრო ადრეული გამოვლინების წინაპირობა გახდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სკრინინგის პროცესში კიბოს წინარე და ფონური პროცესების გამოვლენა. მათთან ბრძოლა საგრძნობლად ამცირებს დაავადების რაოდენობას პოპულაციის მაშტაბით. ადრეული გამოვლინება და ადრეულ სტადიებზე მკურნალობა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის და გამოჯანმრთელების საწინდარია. მაგალითისთვის შევადეთის მონაცემებიც კმარა, სადაც 5 წლიან გამოჯანმრთელებას დაავადებულების 91 % აღწევს. ასევე ძალიან მაღალი შედეგები აქვთ წამყვან ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მიუხედავად ასეთი საგრძნობი წარმატებებისა, ძუძუს კიბო დღესაც ძალიან აქტუალურ პრობლემად რჩება. თანამედროვე მიდგომით, მკურნალობის პრინციპები დაფუძნებულია როგორც უშუალოდ დაავადებასთან ბრძოლასთან, ასევე სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნებასთან. უპირველესი ტენდენცია, რომელიც აღინიშნება მკურნალობის პროცესში, ეს არის ქირურგიული ჩარევის მინიმალიზაცია (ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ლამპექტომიების ჩათვლით, “სენტინელი” - მოსაზღვრე ლიმფური კვანძის განსაზღვრა და შერჩევითი ლიმფოდისექციის ჩატარება). ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები პაციენტის ინვალიდიზაციის პრობლემას ხსნიან. თანამედროვე მედიცინისთვის ძუძუს სრულფასოვანი შენარჩუნება პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ პირობებში უფრო მეტ აქტუალობას იძენს მედიკამენტოზური და სხივური თერაპიის როლი. თანამედროვე მონაცემებით ძუძუს კიბოს შემთხვევათა თითქმის 90%-ს ესაჭიროება სხივური თერაპიის ჩატარება. რამდენიმე ტიპის სხივური თერაპიის გამოყენება შეიძლება აღნიშნული დაავადების მკურნალობისას, ესენია დისტანციური სხივური თერაპია - ხაზოვანი ამაჩქარებლის თუ კობალტის აპარატის გამოყენებით, ბრახითერაპია - კობალტის, თუ ირიდიუმის აპარატების გამოყენებით და ინტრაოპერაციული სხივური თერაპია - სპეციალური ხაზოვანი ამაჩქარებლის, თუ რენდგენის სხივების აპარატების გამოყენებით. ყველა ამ მეთოდს თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები აქვს. ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია მათი გამოყენების კრიტერიუმები.

ხაზოვანი ამაჩქარებელი უნივერსალურ სამკურნალო ალტერნატივად განიხილებოდა, მაგრამ ამ მეთოდსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები - გვერდითი მოვლენები. თანამედროვე მედიცინაში საკმაოდ მძაფრად დაისვა გვერდითი მოვლენების აღმოფხვრის საკითხი. ხაზოვანი ამაჩქარებლით მკურნალობის პროცესში მთავარი პრობლემა არის რისკის ორგანოების დაზიანება და სასიცოცხლო რესურსის ამოწურვა. ძუძუს კიბოს შემთხვევაში რისკის ორგანოებს ძირითადად გული და ფილტვები წარმოადგენენ. მკურნალობის ეფექტურობის გაზრდამ, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა გამოიწვია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წამყვან ქვეყნებში 5 წლიან გამოჯანმრთელების ზღურბლს დაავადებულთა უმეტესობა აბიჯებს, თუმცა საკმაოდ აქტუალურ პრობლემად რჩება სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნება. სხივური თერაპიის აქტიურად გამოყენებამ სხივური გართულებების წინა პაღსზე წამოწვევა განაპირობა. ეს გართულებები ზოგჯერ სიცოცხლესთან შეუთავსებლებიც ხდება (პლევრის ღრუსა და პერიკარდიუმის ფიბროზები, რომლებიც ძირითადად 5-6 წლის შემდეგ იჩენენ თავს). ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია მკურნალობის გვერდითი მოვლენების შემცირება და მოხსნა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრისაკენ არის მიმართული ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის დანერგვა. აღნიშნული მკურნალობისას, სხივების დაბალი შეღწევადობის გამო არ

ზიანდება რისკის ორგანოები, იხსნება არასასურველი კოსმეტიკური ეფექტები და ნარჩუნდება ორგანოთა და ორგანიზმის სასიცოცხლო რესურსი. ამ მეთოდის კომბინაციით

27: 5685– ხაზოვან ამაჩქარებელთან ასევე მცირდება დისტანციური სხივური თერაპიის გვერდითი მოვლენები, რადგან მცირდება დასხივების ჯამური დოზა.

ჩვენ საუბარი გვექნება რენდგენის სხივებზე დაფუძნებულ ინტრაოპერაციულ სხივურ თერაპიაზე, რომელიც კარლ ცეისის აპარატის, “ინტრაბიმის” გამოყენებით სრულდება. აღნიშნული ტექნიკა უკვე 1 წელია ფუნქციონირებს თბილისის ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე და ამ ხნის განმავლობაში 42 პაციენტს ჩაუტარდა მკურნალობა. მკურნალობის ჩატარებისას ექიმები ხელმძღვანელობდნენ მკაცრი კრიტერიუმებით:

1. 45 წ. მეტი ასაკი
2. 2,5 - 3 სმ-ზე ნაკლები ტუმორის ზომა
3. 50 წლამდე პაციენტებისთვის აუცილებლად კომბინირებული სხივური თერაპია ინტრაბიმისა და დისტანციური დასხივების გამოყენებით.
4. ლიმფური კვანძების დაზიანების შემთხვევაში ასევე კომბინირებული სხივური თერაპია ინტრაბიმისა და დისტანციური დასხივების გამოყენებით
5. Her 2 New პოზიტიურობისას და გრეიდის 2-ზე მეტი მაჩვენებლის შემთხვევაში კომბინირებული სხივური თერაპია ინტრაბიმისა და დისტანციური დასხივების გამოყენებით
6. გენეტიკური წინასწარ განწყობისას კომბინირებული სხივური თერაპია ინტრაბიმისა და დისტანციური დასხივების გამოყენებით

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ დისტანციური სხივური თერაპიის გამოყენებისას ჩვენ ვამცირებდით ძუძუს დასხივების დოზას 50 გრეიდან 46 გრეიმდე, ბუსტის ანუ სარეცელის დასხივებას მთლიანად ვიღებდით და ვანაცვლებდით ინტრაოპერაციული დასხივებით. ანუ მხოლოდ დისტანციური სხივური თერაპიის ჯამურ დოზას ვამცირებდით 67-68 გრეიდან 46 გრეიმდე. ინტრაბიმით დასხივება დაბალი შეღწევადობის გამო, რისკის ორგანოებისთვის საშიში არ არის (მაქსიმალური შეღწევადობა 2 სმ.) მაგრამ ამავე დროს მაღალეფექტურია - ერთჯერადად 20 გრეის ოდენობით. ამ ტიპის მკურნალობის მსვლელობისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით რისკის ორგანოების დაზოგვის და სამკურნალო რესურსის შენარჩუნების პრინციპით. ასევე ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის ხანგრძლივობა მაქსიმუმ ერთი საათია და უშუალოდ ოპერაციის დროს ხდება. დისტანციურ სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში, დასხივების დოზის შემცირების ხარჯზე, ასევე მცირდება მკურნალობისთვის საჭირო დრო - 6 კვირიდან 4 კვირამდე. დისტანციური დასხივების დოზის შემცირება რისკის ორგანოების დაზოგვასაც იწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი წელია რაც ამ ტექნიკას ვიყენებთ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დროის ასეთ მცირე ინტერვალში რთულია სარწმუნო შედეგების თუ შედეგების მოყვანა, თუმცა მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია შედეგებითი ანალიზის გაკეთება, განსაკუთრებით კოსმეტიკური ეფექტის განსაზღვრაში. ანალიზის გაკეთების დროს ვხელმძღვანელობდით შემდეგი მახასიათებლებით:

1. ასაკი - 50-60 წელი;
2. ლიმფური სტატუსი - უარყოფითი;
3. გრეიდი - 2 ან ნაკლები;
4. Her 2 New - უარყოფითი.

შევექმენით 3 ჯგუფი:

პირველი - 7 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ მხოლოდ ინტრაოპერაციული სხივური თერაპია;

მეორე - 8 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ინტრაოპერაციული სხივური თერაპია დისტანციურ სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში;

მესამე - 10 პაციენტი, რომელთაც მხოლოდ დისტანციური სხივური თერაპია ჩაუტარდათ. სამივე ჯგუფის პაციენტების ძირითადი სიმსივნის ზომა არ აღემატებოდა 2,2 სანტიმეტრს.

დაკვირვების ვადა 1 წლიდან 10 თვემდე მერყეობს.

აღნიშნულ პერიოდში რაიმე სერიოზული გართულება არც ერთი პაციენტის მხრიდან არ აღინიშნებოდა. რეციდივი არ აღინიშნება არც ერთ პაციენტს და შორეული მეტასტაზირება ასევე არც ერთ პაციენტს არ აღინიშნება.

რაც შეეხება კოსმეტიკურ შედეგებს:

1. სხივური დამწვრობა მეორე ჯგუფის ორ და მესამე ჯგუფის 6 პაციენტს ჰქონდა, რომელიც ერთი-ორი თვის განმავლობაში ალაგდა.

2. სარძევე ჯირკვლის ფორმის, მფარავი კანის ფერის და ელასტიურობის ცვლილება მეორე ჯგუფის 3, პირველი ჯგუფის 1 (მცირედ გამოხატული) და მესამე ჯგუფის 6 პაციენტს აღინიშნებოდა.

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ვიზუალური და ესთეტიური შედეგები გაცილებით მაღალია ინტრაბიმის გამოყენების დროს, ვიდრე მხოლოდ დისტანციური სხივური თერაპიის გამოყენებისას. ეს რა თქმა უნდა სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ამ ჯგუფებზე აქტიური დაკვირვება დღესაც გრძელდება.

როგორც უკვე აღინიშნეთ, ამ მეთოდით ერთი წლის განმავლობაში 42 პაციენტია ნამკურნალები. ამჟამად არც ერთ მათგანს რეციდივი არ აღინიშნება, ასევე არ აღინიშნება დაავადების გავრცელება და გენერალიზაცია. თითოეული პაციენტი აქტიური დაკვირვების ქვეშაა და იტარებს გეგმიურ კვლევებს. მომავალი ანალიზისთვის შექმნილია 4 ასაკობრივი ჯგუფი - 45-დან 50 წლამდე; 50-60 წლამდე; 60-70 წლამდე და 70 წელზე ზევით. გარდა ამისა შექმნილია ორი ჯგუფი ლიმფური სტატუსის მიხედვით - პირველი ნეგატიური ლიმფური ჯირკვლებით და მეორე - ლიმფური ჯირკვლების მეტასტაზური დაზიანებით. ერთ პაციენტს ჩატარებული აქვს მკურნალობა რეციდივიკეთის შემდგომ (მასტექტომიის შემდგომი პერიოდი). ამ ჯგუფში ვაპირებთ გავაერთიანოთ ის პაციენტები, რომელთაც აღინიშნება რეციდივი რადიკალური სექტორული რეზექციის, თუ რადიკალური მასტექტომიის შემდგომ. შევქმენით ორი ჯგუფი ინტრაბიმით ნამკურნალები პაციენტებისა Her 2 New სტატუსის მიხედვით, ასევე შევქმენით იდენტური ჯგუფები მხოლოდ დისტანციური თერაპიით ნამკურნალები პაციენტებისა. ყოველივე ზემოთ თქმული გეგმდევს იმედს, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში ძალიან ნაყოფიერ სამეცნიერო სამუშაოს ჩავატარებთ ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის შედარებითი ანალიზისა და მკურნალობის ეფექტურობის შეფასებისთვის. ეს მეთოდი უკვე წარმოადგენს ძუძუს კიბოსთან ბრძოლის ქმედით იარაღს და ვიმედოვნებთ, რომ კიდევ უფრო გავზრდით მისი გამოყენების არეალს და ასაკობრივ ფარგლებს. მითუმეტეს, რომ ჩვენი კლინიკა მონაწილეობას იღებს საერთაშორისო, მულტიცენტრულ კვლევაში - ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენება ძუძუს კიბოს მკურნალობაში, ახალგაზრდა ასაკისა და მაღალი რისკის პაციენტების შემთხვევაში.

## references

1. Aebi S, Sun Z, Braun D et al. Differential efficacy of three cycles of CMF followed by tamoxifen in patients with ER-positive and ER-negative tumors: long-term follow up on IBCSG Trial IX. Ann Oncol 2011 [epub ahead of print 31 January

2011] doi:10.1093/annonc/mdq754.

2. Albain KS, Barlow WE, Shak S et al. Prognostic and predictive value of the 21-gene recurrence score assay in postmenopausal women with node-positive, oestrogen-receptor-positive breast cancer on chemotherapy: a retrospective

analysis of a randomised trial. Lancet Oncol 2010; 11: 55–65.

3. Nguyen PL, Taghian AG, Katz MS et al. Breast cancer subtype approximated by estrogen receptor, progesterone receptor, and HER-2 is associated with local and distant recurrence after breast-conserving therapy. J Clin Oncol 2008; 26: 2373–2378.

4. Wo JY, Taghian AG, Nguyen PL et al. The association between biological subtype and isolated regional nodal failure after breast-conserving therapy. *Int J Radiat Oncol Biol Phys* 2010; 77: 188–196.
5. Goldhirsch A, Ingle JN, Gelber RD et al. Thresholds for therapies: highlights of the St. Gallen International Expert Consensus on the Primary Therapy of Early Breast Cancer 2009. *Ann Oncol* 2009; 20: 1319–1329.
6. Krag DN, Anderson SJ, Julian TB et al. Sentinel-lymph-node resection compared with conventional axillary-lymph-node dissection in clinically node-negative patients with breast cancer: overall survival findings from the NSABP B-32 randomised phase 3 trial. *Lancet Oncol* 2010; 11: 927–933.
7. Giuliano AE, Hunt KK, Ballman KV et al. Axillary dissection vs no axillary dissection in women with invasive breast cancer and sentinel node metastasis. *JAMA* 2011; 305: 569–575.
8. Vaidya JS, Joseph DJ, Tobias JS et al. Targeted intraoperative radiotherapy versus whole breast radiotherapy for breast cancer (TARGIT-A trial): an international, prospective, randomised, non-inferiority phase 3 trial. *Lancet* 2010; 376: 91–102.
9. Veronesi U, Orecchia R, Luini A et al. Intraoperative radiotherapy during breast conserving surgery: a study on 1,822 cases treated with electrons. *Breast Cancer Res Treat* 2010; 124: 141–151.
10. Whelan TJ, Pignol JP, Levine MN et al. Long-term results of hypofractionated radiation therapy for breast cancer. *N Engl J Med* 2010; 362: 513–520.
11. The START Trialists' Group. The UK Standardisation of Breast Radiotherapy (START) Trial B of radiotherapy hypofractionation for treatment of early breast cancer: a randomised trial. *Lancet* 2008; 371: 1098–1107.
12. Andre F, Berrada N, Desmedt C. Implication of tumor microenvironment in the resistance to chemotherapy in breast cancer patients. *Curr Opin Oncol* 2010; 22: 547–551.
12. Bjelakovic G, Nikolova D, Gluud LL et al. Mortality in randomized trials of antioxidant supplements for primary and secondary prevention: systematic review and meta-analysis. *JAMA* 2007; 297: 842–857.
13. Lazar AA, Cole BF, Bonetti M et al. Evaluation of treatment-effect heterogeneity using biomarkers measured on a continuous scale: subpopulation treatment effect pattern plot. *J Clin Oncol* 2010; 28: 4539–4544.
14. Colleoni M. Adjuvant therapies for special types of breast cancer. *Breast* 2011; (Suppl 1): S15 (Abstr S40).
15. Veronesi U, Saccozzi R, Del VM et al. Comparing radical mastectomy with quadrantectomy, axillary dissection, and radiotherapy in patients with small cancers of the breast. *N Engl J Med* 1981; 305: 6–11.
16. Fisher B, Bauer M, Margolese R et al. Five-year results of a randomized clinical trial comparing total mastectomy and segmental mastectomy with or without radiation in the treatment of breast cancer. *N Engl J Med* 1985; 312: 665–673. testing of estrogen and progesterone receptors in breast cancer. *J Clin Oncol* 2010; 28: 2784–2795.
17. Hammond ME, Hayes DF, Wolff AC. Clinical notice for American Society of Clinical Oncology-College of American Pathologists guideline recommendations on ER/PgR and HER2 testing in breast cancer. *J Clin Oncol* 2011; 29: e458.
18. Joensuu H, Bono P, Kataja V et al. Fluorouracil, epirubicin, and cyclophosphamide with either docetaxel or vinorelbine, with or without trastuzumab, as adjuvant treatments of breast cancer: final results of the FinHer Trial. *J Clin Oncol* 2009; 5692.
19. Kaufmann M, Hortobagyi GN, Goldhirsch A et al. Recommendations from an international expert panel on the use of neoadjuvant (primary) systemic treatment of operable breast cancer: an update. *J Clin Oncol* 2006; 24: 1940–1949.



We make it visible.

# INTRABEAM®

## ზუსტი დარტყმა სიმსივნეზე

ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ძირითადი მეთოდია ქირურგიული მეთოდი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ამ პათოლოგიის სამკურნალოდ წამყვან მეთოდად კომპლექსური მიდგომაა აღიარებული. ონკოლოგიურ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება დისტანციური სხივური თერაპია როგორც ოპერაციამდე, ისე ოპერაციის შემდეგ.

ბოლო ათწლეულის მანძილზე კი სულ უფრო ხშირად გამოიყენება ინტრაოპერაციული სხივური თერაპია, როგორც დამზოგველი და ეფექტური. რა თქმა უნდა, როგორც კომპლექსური თერაპიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ინტრაოპერაციული სხივური თერაპია ინტრა-ბიომი არის განსაკუთრებული ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება ელექტრონულ გამოსხივებას. იონიზირებული გამოსხივება მიმართულია ზუსტად პათოლოგიურ კერაზე, ამოკვეთილი სიმსივნური წარმონაქმნის ადგილზე. ვრცელდება სფერულად არაუმეტეს 2მმ სიღრმეზე. სწორედ ამიტომ ინტრაბიომი საშუალებას იძლევა ჯანმრთელი ქსოვილების დაზოგვის ფონზე დასხივება მოხდეს მაღალი დოზებით ქირურგიული ჩარევის დროს. ინტრაბიომი მკურნალობის შედეგად დადგენილია, რომ მკვეთრად მცირდება რეციდივების სტატისტიკა პაციენტებში სიმსივნით T 3-4.

პროცედურა გრძელდება მაქსიმუმ 30 წუთის განმავლობაში. მაქსიმალური დოზირება 10-20 გრემიდე.

ინტრაბიომი სხივური თერაპია გამოიყენება შემდეგი დანიშნულებების დროს:

- სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნური ახალწარმონაქმნები
- ნეიროქირურგიული სიმსივნური დაავადებები
- აბდომინალური, კოლორექტალური კიბო

არსებობს კლინიკური გამოცდილება, რომ ინტრაბიომი წარმატებით გამოიყენება გინეკოლოგიური და კანის სიმსივნური დაავადების მკურნალობისას.



### ინტრაბიომი - სიზუსტე და გამოყენების სიმარტივე

- რადიაციული დატვირთვის უნიკალური სფერული გავრცელება
- ჯანმრთელი ქსოვილების მაქსიმალური დაცვა
- სისტემის მაღალი მობილობა და სამუშაო პროცესში სწრაფი ინტეგრაცია

### ინოვაცია საქართველოში:

პირველად 2012 წელს საქართველოში, თბილისის ონკოლოგიურ დისპანსერში დაიდგა ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის აპარატი - ინტრაბიომი (Carl Zeiss, Germany). დღეს ქართველ პაციენტებს ეძლევათ საშუალება ევროპაში ნაუსვლელად ჩაიტარონ მკერდის კიბოს მკურნალობა ინოვაციური მეთოდით - ინტრაბიომით.



Carl Zeiss / Optec holding BV  
წარმომადგენლობა საქართველოში  
მისამართი: თბილისი 0112, ჩუბინაშვილის ქ.68  
E-mail: [Lomuashvili@optecgroup.com](mailto:Lomuashvili@optecgroup.com)  
Tel: +995 322 94 44 08 / +995 599 356 726

კ. მარდალეიშვილი, გ. შათირიშვილი, გ. ლოლაძე, ვ. შველიძე, ნ. რატიანი, თ. ჩხიკვაძე

## ლიმფოკინაქტივირებული კილერი (ლაკ) უჯრედებით თერაპია თავ-კისრის სიმსივნების სამკურნალოდ

უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრი, თბილისი, საქართველო

K. Mardaleishvili, G. Shatirishvili, G. Loladze, V. Shvelidze,  
N. Ratiani, T. Chkhikvadze

### Lymphokine-Activated Killer (LAK) Cell Therapy for Head and Neck Cancer

Cell Technology and Therapy Center, Tbilisi, Georgia

#### Abstract

LAK (Lymphokine-activated killer) cell therapy is form of cell-based immunotherapy against cancer. In 1980 by Rosenberg and colleagues described a novel method for generating large numbers of lymphoid cells after incubation with interleukin-2. LAK cells were capable of lysing fresh, noncultured primary and metastatic cancer cells. LAK cells were functionally distinct from the population of natural killer cells, because they lysed tumor cells previously shown to be resistant to natural killer activity. Since then LAK cells were used for treatment of many types of metastatic cancer: melanoma, renal cell carcinoma, glioblastoma, for primary lung cancer, hepatocellular cancer etc.

In 2010 in Cell Technology and Therapy Center was started the study for safety and efficacy of LAK cell therapy against different head and neck cancer (melanoma, squamous cell carcinoma, cylindroma and non-differentiated thyroid cancer). The preliminary results from 17 patients are presented. Safety and efficacy of LAK cell therapy are discussed.

ლაკ თერაპია არის იმუნოთერაპიის სახე, რომლის დროსაც სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობისათვის გამოყენებულია სინჯარაში კულტივირებული და გააქტივებული აუტოლოგიური ბუნებრივი (ნატურალური) კილერები ანუ ლიმფოკინაქტივირებული კილერები (lymphokine activated killer cell –LAK). ადამიანის სისხლში ბუნებრივი (ნატურალური) კილერი უჯრედები ლიმფოციტების ფრაქციის დაახლოებით 5-20% შეადგენს. ისინი თანდაყოლილი იმუნიტეტის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს ე.წ. არასპეციფიკურ მკვლელ უჯრედებს, რომელთა ფუნქცია ორგანიზმში ინფიცირებული და სიმსივნის უჯრედების განადგურებაა. ლაკ უჯრედები გამოყოფენ პერფორინსა და გრანზიმს და იწვევენ სამიზნე უჯრედების აპოპტოზს და ლიზისს.

ლაკ თერაპიისთვის წარმართვა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნის 80-იან წლებში შემოვიდა რეკომბინანტული ინტერლეიკინ-2 (IL-2), ციტოკინი, რომელიც გამოიშავდება T ლიმფოციტებში და იწვევს როგორც ნატურალური კილერების გამრავლებას, ისევე მათ აქტივაციას. 1980 წელს სტივენ როზენბერგმა (Steven Rosenberg) აღწერა ლაკ უჯრედების მიღების მეთოდი, რომლებიც შლიდნენ პირველადი და მეტასტაზირებული კიბოს უჯრედებს. ამ უჯრედებს შეეძლოთ კიბოს იმ უჯრედების ლიზისიც, რომლებიც ბუნებრივი კილერების მიმართ რეზისტენტული იყო (1. Grimm et al. 1982). მათი სამიზნეა კიბოს უჯრედები, თუმცა არ აზიანებენ ნორმალურ უჯრედებს, მოქმედებს როგორც სინგენურ, ასევე ალოგენურ სიმსივნებზე, ანუ მოქმედება დამოუკიდებელია HLA სისტემაზე (2. Fagan et al, 1987). ლაკ უჯრედების კულტურა შეიცავს ძირითადად დიდ გრანულარულ ლიმფოციტებს. მათ აქვთ ზედაპირული ანტიგენები CD16, CD56 და აკლიათ CD3, რაც ნიშნავს, რომ ლიმფოკინაქტივირებული კილერებს და ნატურალური კილერებს ზედაპირული ანტიგენების

მსგავსი ექსპერესია აქვთ. აღსანიშნავია, რომ ლაკ უჯრედების კულტურა შეიცავს ასევე T კილერ ლიმფოციტებს (CD3+/CD56+) და ისინიც იწვევენ სიმსივნის უჯრედების არასპეციფიურ, HLA-დამოუკიდებელ ლიზისს (3. Hamblin 1989).

აქტივირებული კილერი უჯრედები თავის მხრივ ააქტივებს მაკროფაგებს, დენდრიტულ უჯრედებს, ნეიტროფილებს, B და T ლიმფოციტებს. ლაკ უჯრედები ე.წ. NKG2D რეცეპტორებით ამოიცნობენ სიმსივნეების ტიპიურ ლიგანდებს, მაგ.: DAP-10, MICA.

ლაკ თერაპიის დაწყებამდე მნიშვნელოვანია სიმსივნის ზომების მაქსიმალური შემცირება ქირურგიული ჩარევით, ქიმიოთერაპიით, სხივური თერაპიით. შემდგომში ტარდება ხანგრძლივი იმუნოთერაპია და მიმდინარეობს პაციენტზე დინამიურ კონტროლი. მკურნალობის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემასა და რეციდივზე ხორციელდება დაუყოვნებელი და ეფექტური რეაგირება (4. Levebre. 2005).

LAK უჯრედები კლინიკაში გამოიყენება 1980-იანი წლებიდან და კიბოს სტანდარტულ მკურნალობასთან კომბინაციაში იმუნოთერაპია მკურნალობის ეფექტურობას 10-30%-ით ზრდიდა. ის გამოიყენეს შემდეგი სიმსივნეების დროს: მეტასტაზირებული მელანომა, თირკმლის კიბო და მსხვილი ნაწლავის კიბო, ფილტვის პირველადი და მეტასტაზირებული კიბო, რბილქსოვილოვანი სარკომა, ავთვისებიანი გლიომა, გლიობლასტომა, შორსწასული საკვრცხის კიბო და ჰეპატოცელულარულ კიბო.

ლაკ უჯრედები კლინიკაში გამოიყენებული იყო მეტასტაზირებული კიბოს დროს როგორც მონოთერაპია ან კომბინაციაში IL-2-ის პარენტერალურ შეყვანასთან ერთად. 25 პაციენტიდან 11 შემთხვევაში აღინიშნა მელანომის, მსხვილი ნაწლავის კიბოს, თირკმლის კიბოს შედეგად განვითარებული ღვიძლისა და ფილტვის მეტასტაზების ზომაში 50%-ზე მეტი რეგრესია. ასევე კარგი შედეგი დაფიქსირდა ფილტვის პირველადი ადენოკარცინომის დროს, ხოლო 1 პაციენტში მეტასტაზირებული მელანომის სრული რეგრესია აღინიშნა, რაც 10 თვე შენარჩუნდა. ლაკ უჯრედების მისაღებად გამოყენებულ იქნა ლეიკოფერეზი. პარალელურად ტარდებოდა IL-2 მკურნალობა. აღსანიშნავია, რომ ეს მკურნალობა ძალიან დიდ დანახარჯებსა მოითხოვდა. ძირითადი გვერდითი მოვლენები (ძლიერი შეშუპებები, შემცივნება, ცხელება, პიპოტენზია, ანემია, თრომბოციტოპენია) უკავშირებოდა IL-2 გამოყენებას და პრეპარატის მოხსნის შემდეგ სწრაფად აღადგებოდა (5. Rosenberg et al. 1985). ლაკ თერაპია გამოიყენებულ იქნა თირკმლის მეტასტაზირებული კიბოს დროს როგორც მონოთერაპია ან კომბინაციაში IL-2-თან. კომბინირებული მკურნალობის დროს ტოქსიურობა არ აღმატებოდა მკურნალობას IL-2-ის დროს, რაც მიუთითებს, რომ ტოქსიურობას განაპირობებდა IL-2 და არა ლაკ უჯრედები. ამასთანავე, კომბინირებული მკურნალობის დროს სიმსივნის სრული ან ნაწილობრივი რეგრესიის პროცენტი აღმატებოდა IL-2-ით მონოთერაპიის შედეგებს (10% ნაცვლად 6%-ისა, 18% ნაცვლად 10% და სტაბილური დაავადების პროცენტი 21% ნაცვლად 9,5% (6. Negrier et al. 1989).

1997 წელს იაპონიაში ჩატარებულმა მესამე ფაზის კვლევამ აჩვენა ლაკ თერაპიის მნიშვნელოვანი ეფექტურობა ქიმიოთერაპიასთან ან სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში ფილტვის პირველადი კიბოთი დაავადებულ პაციენტებში. ფილტვის პირველადი კიბოს რეზექციის შემდგომ 174 პაციენტი დაიყო საკვლევ და საკონტროლო ჯგუფებად, სადაც საკონტროლო ჯგუფს არ უტარდებოდა ლაკ იმუნოთერაპია, ხოლო კვლევით ჯგუფში კი იყო ორი ჯგუფი-განკურნებული (კურატიული) და პალიატიური რეზექციის ჯგუფები. 5 და 9 წლიანი გადარჩენა საკონტროლო ჯგუფში იყო 33,4% და 24,2%, ლაკ თერაპიის ჯგუფში კი - 54,4% და 52% შეადგენდა, რაც სტატისტიკურად სანდო მაჩვენებელია ( $P < 0.001$ ). კურატიული შემთხვევებში კვლევით და საკონტროლო ჯგუფებს შორის 5 წლიანი გადარჩენის სიხშირის სხვაობა ასევე სტატისტიკურად სანდო იყო (შესაბამისად: 65,5% და 40,6%, ( $P < 0.01$ ). ანალოგიური სურათი იყო არაკურატიულ-პალიატიურ შემთხვევებში (43,0% ლაკ თერაპიის ჯგუფში და 20,8% საკონტროლო ჯგუფში,  $P < 0.01$ ), ადენოკარცინომის ჯგუფში (47,5% ლაკ თერაპიის ჯგუფში და 23,0% საკონტროლო ჯგუფში;  $P < 0.05$ ), ბრტყელუჯრედოვანი კიბოს ჯგუფში (62,1% ლაკ თერაპიის ჯგუფში და 34,8% საკონტროლო ჯგუფში;  $P < 0.01$ ) (7. Kimura

et al. 1997). ლაკ თერაპია ბოლო ათეული წლებია განსაკუთრებით ინტენსიურად იაპონიაში გამოიყენება. 2004 წლის მონაცემებით ორ წამყვან ცენტრში 1400-ზე მეტი პაციენტი იყო ნამკურნალევი სხვადასხვა დაავადებით, მათ შორის ღვიძლის კიბოთი, საკვერცხის კიბოთი, ფილტვის კიბოთი. ეფექტურობა სხვადასხვა კვლევებისას მერყეობდა 20%-დან 90% მდე (17. K. Egawa, 2004)

ლაკ თერაპია გამოიყენებულ იქნა გლიობლასტომების სამკურნალოდ. რეკურენტული გლიობლასტომის დროს რეოპერაციის შემდგომ ინტრაკავიტარულად შეყვანილი ლაკ უჯრედების კომბინაცია IL-2 -ის შემდგომი ინექციებთან და ქიმიოთერაპიასთან (კარმუსტინი + პროკარბაზინი) სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდიდა საშუალოდ 53 კვირამდე (87.9 +/- 21.4 კვირამდე, ათვლილს რეოპერაციიდან), მაშინ, როცა ლაკ-თერაპიის გარეშე სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 25.5 კვირას შეადგენდა, (27.4 +/- 3.7) (8. Hayes et al. 1995). მომდევნო კვლევებისას გამოიყენეს IL-2 -ის უფრო დაბალი დოზები, რაც იმუნოთერაპიის დაბალტოქსიურობას განაპირობებდა. 28-პაციენტიდან 6 ცოცხალი იყო რეოპერაციიდან 2 წლის შემდგომაც, ხოლო 2 პაციენტი ცოცხალი იყო 8 წლის შემდგომაც (9. Hayes et al. 2001).

კალიფორნიაში ლაკ უჯრედები გამოიყენეს პაციენტებში პირველადი გლიობლასტომის სამკურნალოდ ადიუვანტურ თერაპიად ქირურგიული ამოკვეთის, ტვინის პარციალური დასხივების, გამა სხივებით რადიოქირურგიისა და თემოდალის (თემოზოლომიდის) მიღების შემდგომ. ლაკ უჯრედები მზადდებოდა პერიფერული სისხლის მონონუკლეარებისაგან, ის გამოიყენებოდა IL-2 -ის ინექციების გარეშე და შეჰყავდათ ადგილობრივი დაზიანების უბანში. ტოქსიურობა იყო მინიმალური. შედეგების მიხედვით გადარჩენის პროცენტი მატულობდა და მიიღწეოდა 20% ნაცვლად 12-15 % -ისა (10. Dillman et al. 2009).

იმავე ჯგუფმა შეისწავლა ასევე ლაკ უჯრედების ინტრაკავიტალური შეყვანა რეკურენტული გლიობლასტომის დროს. შესწავლილი იქნა 41 პაციენტი, სადაც ლაკ თერაპია ინტერლეიკინ-2 ის გარეშე იქნა გამოყენებული. საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო 17,5 თვე ნაცვლად საკონტროლო 13,6 თვისა. (11, Dillman et al. 2004) . 2011 წელს იაპონიაში ლაკ უჯრედები გამოიყენეს თავ-კისრის ლორწოვანი გარსის მელანომის სამკურნალოდ. ცხვირის ღრუს ან სინონახალური კომპლექსის მელანომის დროს ქირურგიული და ქიმიოთერაპიული მკურნალობის მერე ტარდებოდა ადიუვანტური თერაპია ლაკ უჯრედებით. ლაკ უჯრედებით ნამკურნალე პაციენტებში 5 წლიან გადარჩენა 66% შეადგენდა, ხოლო საკონტროლო ჯგუფში ლაკ -ის გარეშე-33% (12. Kanetaka et al. 2011)

დღემდე ერთეული სამეცნიერო სტატიებია გამოქვეყნებული თავ-კისრის ბრტყელ-უჯრედოვანი კიბოს დროს ლაკ უჯრედების გამოყენების შესახებ, თუმცა კვლევების უმეტესობა მოიცავდა ინ ვიტრო ან ცხოველურ მოდელებს, სადაც ლაკ უჯრედების აქტიობას სწავლობდნენ ( 13. Wanebo et al. 1991, 14, Sacchi et al, 1991, 15. Sacchi, 1991). თავ-კისრის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს შორსწასულ შემთხვევებში როგორც წესი, ვითარდება იმუნოდეფიციტი, რის შედეგად T-ლიმფოციტებისა და ნატურალური კილელების აქტიობა მცირდება (16. Melioli et al.1992). ამიტომ ლაკ უჯრედების ინ ვიტრო მომწიფება ხელს უწყობს იმუნური სისტემის აღდგენას.

უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრში 2010 წლიდან დაიწყო კლინიკური კვლევები ლაკ უჯრედების გამოყენებით თავ-კისრის სიმსივნების: ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის, ცილინდრომის, მელანომისა და ფარისებრი ჯირკვლის არადიფერენცირებული კიბოს დროს აუტოლოგიური ლაკ უჯრედების უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესასწავლად.

#### **ლაკ უჯრედების მომზადების მეთოდიკა**

თითოეული პაციენტისგან გროვდებოდა 40-100 მლ-მდე პერიფერიული სისხლი, ფიკოლის სიმკვრივის გრადიენტის მეთოდით ხდებოდა მონონუკლეარული უჯრედების სეპარაცია, მათი სტიმულაცია ციტოკინ IL-2-ისა (100ნგ/მლ), ადამიანის შრატისა (10% მოც/მოც) მეშვეობით RPMI-1640-მედიაუმში 7 დღის განმავლობაში 5% CO<sub>2</sub> ინკუბატორში, 37°C-ზე, 100% ტენიანობის პირობებში. უჯრედებს უტარდებოდა გამდინარე ციტომეტრია გამდინარე ციტომეტრით CD3-FITC/CD56-PE და CD45-FITC/CD56-PE პანელით. მიიღებოდა კილერი უჯრედების (CD3-/

CD56+ და CD3+/CD56+) რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდით (10–100 ჯერ ფარგლებში). უჯრედები რვა დოზად იყენებოდა პროგრამირებული გამყინავით (კრიოპრეზერვაცია 10% DMSO-იან კრიონიადაგში) და ინახებოდა თხევად აზოტში გამოყენებამდე. გამოყენებისას ისინი დნებოდა 37°C -ზე წყლის აბაზანაში, ირეცხებოდა სუსპენდირდებოდა 0,5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში და უჯრედების ინექცია ტარდებოდა მტკენის არეში ინტრადერმულად.

### **კვლევის დიზაინი**

ღია კვლევის ძირითადი მიზანი იყო ლაკ თერაპიის უსაფრთხოების შესწავლა და მისი ეფექტურობის განსზღვრა. 2010-2013 წლები კვლევაში მონაწილეობდა 17 პაციენტი (13 - სამკურნალო და 4 პროფილაქტიკური ჯგუფებში). ერთ პაციენტს ჩაუტარდა 3 კურსი, 4-ს ორი კურსი და დანარჩენებს-თითო.

პაციენტები დაიყო ორ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში შევიდნენ რადიკალურად ნამკურნალევი პაციენტები (4 პაციენტი), რომელთაც კლინიკური გამოკვლევებით დაავადების ნიშნები არ აღენიშნებოდათ და ლაკ თერაპია ტარდება პროფილაქტიკური მიზნით სისხლში მოციროკულირე (ნარჩენი) სიმსივნური უჯრედების გასანადგურებლად ამრიგად, უჯრედული თერაპია ხორციელდება, როგორც სიმსივნის რეციდივისა და მეტასტაზირების განვითარების პრევენციული ღონისძიება და პრინციპში წარმოადგენს ადიუვანტურ იმუნოთერაპიას. პირველ ჯგუფში შევიდნენ პაციენტები ყურის ნიჟარის კანის მელანომით-1 პაციენტი, ხორხის კიბოთი-2 პაციენტი, ცხვირ-ხახის ბრტყელურელოვანი კიბოთი-1 პაციენტი.

მეორე ჯგუფი კი შეადგინეს გავრცელებული კიბოს მქონე ინკურაბელურმა პაციენტებმა (13 პაციენტი), რომელთაც ყველა სახის ტრადიციული მკურნალობის მეთოდის ამოწურვის შემდეგ უტარდებოდათ ლაკ თერაპია სიმსივნური ზრდის შენელების ან სტაბილიზაციის და სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. ამ ჯგუფს სამკურნალო ლაკ თერაპიის ჯგუფი ეწოდა. პაციენტების ნაწილისათვის ლაკ თერაპია იყო მონოთერაპია, მეორე ნაწილისათვის კი კომბინირებული ქირურგიულ, სხივურ და ქიმიოთერაპიასთან. პროფილაქტიკურ ჯგუფში ლაკ თერაპია იყო მონოთერაპია, ხოლო სამკურნალო ჯგუფში 4 პაციენტში ჩატარდა, როგორც მონოთერაპია, დანარჩენ 13-ში კი როგორც კომბინირებული თერაპიის ნაწილი.

### **მკურნალობის კურსი**

თითო კურსი მოიცავდა რვა ინექციას, რაც სრულდებოდა ან მონოთერაპიულ რეჟიმში (თითო ინექცია ყოველ კვირას პირველი თვის განმავლობაში + თითო ინექცია ყოველ მომდევნო თვეს, სულ 5 თვის მანძილზე 8 ინექცია) ან კომბინაციაში ქიმიო- ან სხივურ თერაპიასთან ინდივიდუალური გრაფიკით, ჯამში 8 ინექცია. ყოველ პაციენტზე ინექციის შემდგომ ხორციელდებოდა 2-3 საათიანი მონიტორინგი ჩივილების, ინსპექციის, ტემპერატურის და არტერიული წნევისა. ამის შემდეგ პაციენტი ტოვებდა კლინიკას. პაციენტები პროცედურას კარგად იტანდნენ, არ აღნიშნულა რაიმე სერიოზული გართულება. ერთეულ შემთხვევაში აღინიშნა ადგილობრივი სიმპტომები (სიწითლე და ქავილი ინექციის ადგილას, რაც კონსერვატიულ თერაპიას ადვილად ემორჩილებოდა). გვერდითი მოვლენების გამო არცერთ პაციენტს არ შეუწყვეტია მკურნალობა. მკურნალობა ტარდებოდა ქირურგებთან, სხივური მედიცინის სპეციალისტებთან და ქიმიოთერაპევტებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მკურნალობის პერიოდში დაავადების პროგრესირების ნებისმიერი საეჭვო ნიშნების შემთხვევაში ხდებოდა დაუყოვნებელი რეაგირება და საჭიროებისას სამედიცინო ჩარევა (ქირურგიული, ქიმიოთერაპიული ან რადიოთერაპიული მეთოდებით).

### **შედეგები**

სამკურნალო ჯგუფში გარდაიცვალა 8 (1- ენის ბრტყელურელოვანი კიბოთი, 1-პირის ღრუს ფსკერის ინოპერაბელური ცილინდრომა, მეტასტაზით ღვიძლში, 1-ფარისებრი ჯირკვლის არადიფერენცირებული ინოპერაბელური კიბო (გარდაცვალება ლაკ მონოთერაპიის დაწყებიდან 23 თვის შემდგომ), 3 - კანის შორსწასული მელანომით მრავლობითი მეტასტაზებით თავის ტვინში, ფილტვისა და ღვიძლში (გარდაცვალება ლაკ თერაპიის დაწყებიდან 5-7 თვეში),

2- შორსწასული ხორხის კიბო მრავლობითი ადგილობრივი და შორეული მეტასტაზებით (გარდაცვალება ლაკ თერაპიის დაწყებიდან 3 და 4 თვეში). პროფილაქტიკურ ჯგუფში არცერთ პაციენტს არ აღენიშნა დაავადების პროგრესირებისა, რეციდივის ან მეტასტაზის არცერთი შემთხვევა, მათ შორის ორს, რომელთაც ლაკ თერაპია 3 წლის წინ ჩაუტარდათ. სამკურნალო ჯგუფიდან დარჩენილ 5 პაციენტიდან ერთს ცხვირ-ხახის კიბოთი, რომელსაც ლაკ თერაპია უტარდებოდა კომბინაციასი სხვიურ და ქიმიოთერაპიასთან, აღენიშნა სიმსივნის სრული, ხოლო ერთს ცხვირ-ხახის კიბოთი-ნაწილობრივი რეგრესი, ერთ პაციენტს ფარისებრი ჯირკვლის არადიფერენცირებული კიბოთი ქიმიოთერაპიასთან ერთად კი აღენიშნა სტაბილიზაცია. 2 პაციენტის მკურნალობის შეფასება დროის სიმცირის გამო ჯერ ნაადრევია.

ამრიგად, წარმოდგენილია თავ-კისრის სიმსივნეების ლაკ თერაპიით მკურნალობის საწყისი შედეგები. კვლევამ გვიჩვენა მეთოდის უსაფრთხოება. ლაკ უჯრედების ინექცია წარმოადგენს უსაფრთხო მეთოდს, რომელსაც პრაქტიკულად არ ახლავს ზოგადი და ადგილობრივი გართულებები. წინასწარი მონაცემები მიუთითებს, რომ მეთოდი ეფექტურია პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებისას, ასევე ახანგრძლივებს სიცოცხლეს ინკურაბერულ პაციენტებში.

ამჟამად კლინიკური კვლევა საბოლოოდ ჯერ არ დასრულებულა. მკურნალობის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მაჩვენებლების, მათ შორის სიცოცხლის გახანგრძლივების საბოლოო მაჩვენებლის დადგენა კვლევის დასრულების შემდგომ მიღებული სრული მონაცემების დეტალური ანალიზის საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. E.A. Grimm et al. Lymphokine-activated killer cell phenomenon. Lysis of Natural Killer-resistant Fresh Solid Tumor Cells by Interleukin 2-activated Autologous Human Peripheral Blood Lymphocytes. Journal of Experimental Medicine • Volume 155, June 1982. PP. 1823-1841.
2. E.A. Fagan et al. Immunotherapy for cancer: the use of lymphokine activated killer (LAK) cells. Gut, 1987, 28, PP. 113-116.
3. Immunotherapy of Disease. Immunology and Medicine. T.J. Hamblin (Editor), Kluwer Academic Publisher 1989.
4. Андре Лёфевр. Стратегия интегрированного противоракового лечения. Протокол комбинированного применения лучевой, иммунной и химиотерапии. Российский Биотерапевтический Журнал. Т4, том 4, 2005
5. SA Rosenberg et al. Observations on the systemic administration of autologous lymphokine-activated killer cells and recombinant interleukin-2 to patients with metastatic cancer. N Engl J Med. 1985 Dec 5; 313(23):1485-92.
6. S. Negrier et al. Interleukin-2 with or without LAK cells in metastatic renal cell carcinoma: a report of a European multicentre study. Eur J Cancer Clin Oncol. 1989;25 Suppl 3:S21-28.
7. H Kimura et al. A phase III randomized study of interleukin-2 lymphokine-activated killer cell immunotherapy combined with chemotherapy or radiotherapy after curative or noncurative resection of primary lung carcinoma. Cancer. 1997 Jul 1;80(1):42-49.
8. RL Hayes et al. Improved long term survival after intracavitary interleukin-2 and lymphokine-activated killer cells for adults with recurrent malignant glioma. Cancer. 1995 Sep 1;76(5):840-852.

9. RL Hayes et al. Adoptive cellular immunotherapy for the treatment of malignant gliomas. *Crit Rev Oncol Hematol.* 2001;39(1-2):31-42.
10. RO Dillman et al. Intralesional lymphokine-activated killer cells as adjuvant therapy for primary glioblastoma. *J Immunother.* 2009; 32(9):914-919.
11. RO Dillman et al. Intracavitary placement of autologous lymphokine-activated killer (LAK) cells after resection of recurrent glioblastoma. *J Immunother.* 2004; 27(5):398-404.
12. S Kanetaka et al. Mucosal melanoma of the head and neck. *EXPERIMENTAL AND THERAPEUTIC MEDICINE* 2: 907-910, 2011.
13. H Wanebo et al. Augmentation of the lymphokine-activated killer cell response in head and neck cancer patients by combination interleukin-2 and interferon-alpha. *Am J Surg.* 1991 Oct;162(4):384-387.
14. M Sacchi et al. Induction of tumor regression in experimental model of human head and neck cancer by human A-LAK cells and IL-2. *Int J Cancer.* 1991 12;47(5):784-791.
15. M Sacchi et al. Antitumor activity of adherent LAK cells (A-LAK) in a model of squamous carcinoma of the head and neck. *Acta Otorhinolaryngol Ital.* 1991 11(4):405-415.
16. G Melioli et al. Perilymphatic injections of recombinant interleukin-2 (rIL-2) partially correct the immunologic defects in patients with advanced head and neck squamous cell carcinoma. *Laryngoscope.* 1992 May;102(5):572-8.
17. K Egawa. Immuno-cell Therapy of Cancer in Japan. *Anticancer Research* 24: 3321-3326 (2004).



სუბლინგვალური წვეთები

ცხოვრების ხარისხის  
გაუმჯობესება

სიმპტომური გაუმჯობესება

ტკივილების შემცირება

სიცოცხლის გახანგრძლივება

# ვიდატოქსი

მორიელის შხამის აქტიური გამოყენება  
სიმსივნური დაავადებების მკურნალობაში  
დღევანდელი მედიცინის აქტუალური თემაა

CH VIDATOX R 30

წარმოადგენს ჰომეოპათიურ პროდუქტს. მისი აქტიური მოქმედი ნივთიერებაა Rhopalurus junceus მორიელის შხამი პროპორციით 30/100 ერთეული. პროდუქტი ჰომეოპათურად არაბოტანური ხსნარის ფორმაში. მისი გამოყენება არ გამოიწვევს და არ ზღუდავს კიბოს მკურნალობის სხვა ტრადიციულ მეთოდებს, უფრო მეტიც, მათ ერთდროულ გამოყენებას შიძლება ჰქონდეს სინერგიული ან ჰომეოპათიური ეფექტი.



**LABIOFAM S.A.**  
Empresa Comercializadora

Immobilaria Siboney-Palco Edificio 1 y B Piso 11 Vedado,  
Plaza de la Revolución, La Habana, Cuba.  
Teléfonos 893-3995, 837-1352, 836-2654, 836-0374  
Email: labiofam@marcilibio.net.com.cu

ში პი სი -ს აფთიაქების ქსელი:

ხინანოშვილის ქ. 37  
გაგაგაძის გამზ. 50  
ყაზბეგის გამზ. 10  
წერეთლის გამზ. 55  
გაგაგაძის გამზ. 2  
ვაჟა ფშაველას გამზ. 17  
ვაჟა ფშაველას გამზ. 48  
გაგაგაძის გამზ. 23/25

ფარმაცევტული აფთიაქების ქსელი:

წინანდლის №9 (არაგვიანდის ტერიტორია,  
№64 მხედრალური აფთიაქი);  
ირაკლი აბაშიძის ქ. №41;  
სანაპიროს ქ. №10ა;  
ც. დავითაძის ქ. №2 (გადას. ხილთაძე);  
ჭიკურაძის ქ. №11. (დიდუბის განივი)

ში პი სი -ს საინფორმაციო

სამსახური  
**2 71 07 07**

ფარმაცევტული საინფორმაციო

სამსახური  
**2 400 004**

ი. კუზანოვი<sup>1</sup>, კ. მარდალეიშვილი<sup>2</sup>, ა. კუზანოვი<sup>1</sup>, ზ. დაბრუნდაშვილი<sup>2</sup>, გ. კუზანოვი<sup>1</sup>,  
გ. იოსელიანი<sup>1</sup>, მ. მაჭავარიანი<sup>1</sup>, ვ. ჯავახიშვილი<sup>2</sup>, გ. ბარათაშვილი<sup>2</sup>.

## პლასტიკური ქირურგია თავ-კისრის რეკონსტრუქციაში ონკოლოგიურ პაციენტებში

თსსმუ, ქირურგიის დეპარტამენტი, პლასტიკური ქირურგიის მიმართულება,  
რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა “კუზანოვ კლინიკა”;  
“მარდალეიშვილის ონკოლოგიური ცენტრი”.

### Plastic Surgery in head and neck reconstruction of oncologic patients.

I.Kuzanov <sup>1</sup>, K.Mardaleishvili <sup>2</sup>, A.Kuzanov <sup>1</sup>, Z.Dabrundashvili<sup>2</sup>, G.Kuzanov<sup>1</sup>, G.Ioseliani<sup>1</sup>,  
M.Machavariani<sup>1</sup>, V.Javakhishvili<sup>2</sup>, G.Baratashvili <sup>2</sup>.

Tbilisi State Medical University, division of plastic surgery. Clinic of plastic, reconstructive and  
aesthetic surgery “Kuzanov Clinic”<sup>1</sup>.

“Mardaleishvili Oncological Center”<sup>2</sup>.

After excision of extensive tumors reconstruction of loss tissue without use of a microsurgical technique does not allow to restore in full function and esthetics of the face. Often biomechanics of food intake is broken. In individual cases nasal and oral cavities are opened, that causes in swallowing, speech and breathing function disorder. Such patients often become asocial and are compelled to hide not only from a society, but also from members of own family.

Development of microsurgery and use of flap surgery gave us possibility to cover such big and compound defects with healthy not irradiated tissues. Free and rotated flaps can stimulate reparation and revascularization process in reconstructed regions and can less the period of rehabilitation of patients with head and neck cancer.

Since 1985 under the guidance of K.Mardaleishvili and I.Kuzanov two teams (oncologic and plastic surgeons) started collaboration in treatment of oncologic patients with head and neck tumors. We performed more 47 one stage and delayed reconstructions with use of free or rotated flaps.

At this presentation we will talk about collaboration work and achievements of two teams oncologic and plastic surgeons in treatment of oncologic patients with head and neck cancer.

Thus, teamwork of oncologic surgeons and plastic surgeons allows achieving good functional and aesthetic results in treatment of oncologic patients with head and neck tumors.

ონკოლოგიურ დაავადებათა მაჩვენებლები იზრდება მთელ მსოფლიოში. მათ შორის თავ-კისრის ონკოლოგიური დაავადებები შეადგენენ 15-20%, ხოლო დაგვიანებული მიმართვები (III-IV სტადია) შეადგენს 70-80% (1,2,3).

მიუხედავად წარმატებებისა სხიური და მედიკამენტოზური მკურნალობაში, ქირურგიული მკურნალობა ისევ რჩება ძირითად მეთოდად ამ პაციენტების მკურნალობაში (4,5). თავ-კისრის რთული ანატომია, ქსოვილების და ორგანოების მჭიდრო განლაგება, სიმსივნის აბლასტური ამოკვეთისას იწვევს ფართო, ვრცელი და შერწყმული დეფექტების ჩამოყალიბებას. რაც იწვევს ორგანოების ფუნქციის სერიოზულ დარღვევას და პაციენტების დამახინჯებას. ხშირად ირღვევა სუნთქვის, ღეჭვის, ყლაპვის, და მეტყველების პროცესები(6,7).

ბოლო დრომდე ჩატარებული მკურნალობის შეფასებათ ითვლებოდა ავადმყოფის პოსტოპერაციული ცხოვრების ხანგრძლივობა. მაგრამ ბოლო დროს უფრო მეტი ყურადღება ენიჭება ცხოვრების ხარისხს და სოციალურ რეაბილიტაციას. “რადგან ჩვენ არ შეგვიძლია პოსტოპერაციული ცხოვრების განსაზღვრული ვადის გარანტირება ავადმყოფისთვის, ქირურგიის ამოცანას წარმოადგენს ადრეული ფორმის და ფუნქციის აღდგენა იმისათვის რომ ადამიანმა სრულყოფილად იცხოვროს, ცხოვრების დარჩენილი დროის მანძილზე (Chambers R. 1981).

როგორც წესი თავ-კისრის ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადყოფებს ოპერაციამდე უნიშ-  
ნავენ სხიური ან ქიმიური თერაპიის კურსს, რაც თავის მხრივ იწვევს ჭრილობების შეხორცე-  
ბის გართულებას ტროფიკის მოშლის გამო. ამ კატეგორიის ავადმყოფებში დაწეულია ქსო-  
ვილების რეპარაციული თვისებები, რაც პოსტოპერაციულ პერიოდში იწვევს გართულებებს  
ანთებით პროცესის სახით, სტომების ფორმირებით, რასაც ხშირად თან ახლავს ჭრილობაში  
ნერწყვის შეღინება, ოსტეომიელიტის მოვლენები, მაცერაცია და ახლომდებარე ქსოვილების  
ინფიცირება (4,5).

XX საუკუნის 80 წლებამდე თავ-კისრის დეფექტების შევსების მიზნით ხშირად იყენებდნენ  
ფილატოვის ყლორტს(8). მაგრამ რბილი ქსოვილების აღდგენა ფილატოვის ნაფლეთით საჭ-  
იროებს რამდენიმე ეტაპს, რაც მნიშვნელოვნად აგრძელებს რეაბილიტაციის პერიოდს (7-9  
თვე). ფილატოვის ყლორტის ქსოვილები მნიშვნელოვნად მგრძობიარები არიან ინფექციის  
მიმართ, რაც ხშირად იწვევს ნეკროზის განვითარებას.

მსგავსი დეფექტების მკურნალობაში რევულუციურად ითვლება მიკროქირურგიის გან-  
ვითარება რომელმაც მისცა საშუალება გამოგვეყენა ქსოვილები რომლებიც მდებარეობენ  
დასხივებული ზონიდან მოშორებით და რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქსო-  
ვილების რეპარაციულ პროცესებს ოპერირებულ მიდამოებში და ამცირებს ავადმყოფების  
ანატომო-ფუნქციანალურ და სოციალურ რეაბილიტაციას (9,10).

თავ-კისრის პოსტოპერაციული დეფექტების შევსების მიზნით თანამედროვე მიდგომა  
გულისხმობს კან-ფასციალური, კან-კუნთოვანი და კან-კუნთოვან-ძვლოვანი ვასკულარიზე-  
ბული ნაფლეთების გამოყენებას. რეკონსტრუქციული ოპერაციები შეიძლება ჩატარდეს რო-  
გორც ერთ ეტაპად ასევე გადავადებულად. მეცნიერების უმეტესობა უნიჭებს უპირატესობას  
პირველად რეკონსტრუქციებს. ეს ამცირებს რეაბილიტაციის პერიოდს და აფართოვებს ქირუ-  
რგიული მკურნალობის ჩვენებებს ადგილობრივად ფართოთ გავრცელებული ავთვისებიანი  
სიმსივნეების დროს. ამის შესრულების მიზნით საჭიროა შერწყმული მუშაობა მინიმუმ ორი  
ბრიგადის ონკო ქირურგების და პლასტიკური ქირურგების (3,6,7,11).

საქართველოში თავ-კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების თანამედროვე მკურნალობა დაი-  
წყო 1985 წლიდან როცა პროფ. კ.მარდალეიშვილისი და პროფ. ი.კუზანოვის ხელმძღვანელო-  
ბით ჩატარდა პირველი ერთეულებიანი ოპერაციები ვასკულარიზებული ნაფლეთების გამოყ-  
ენებით.

მოგვეყავს რამდენიმე კლინიკური შემთხვევა რომლებიც მიძღვნილია აღწერილი პრობლემისადმი.

პაციენტი 84 წლის, შემოვიდა კლინიკაში დიაგნოზით გავრცელებული კანის პრტყელუჯრედოვანი  
კიბო ნეკროზის ელემენტებით (სურ 1). სიმსივნური წარმონაქმნის ამოკვეთის შემდეგ ჩამოყალიბდა  
ფართო დეფექტი. დეფექტი დაიფარა დაგრძელებული თორაკოდორსალური ნაფლეთის კანქვეშა გვი-  
რაბში როტაციის საშუალებით (სურ 2-4). პოსტოპერაციული პერიოდი გართულებების გარეშე. ოპ-  
ერაციის შედეგად განხორციელდა ავადმყოფის სოციალური რეაბილიტაცია სურ (5-6)





სურ 1-6. აღწერა იხილეთ ტექსტში.

პაციენტი 54 წლის შემოვიდა კლინიკაში სახის მარჯვენა ნახევრის ავთვისებიანი სიმსივნის ამოკვეთის და წარბის ნაფლეთის როტაციის შემდეგ. აღენიშნება რბილქსოვილოვანი დეფექტი ცხვირის პირის და ჰაიმორის წიაღის გაშიშვლებით (სურ 7-9). საფარი ქსოვილის და ლორწოვანი დეფექტის დაფარვის მიზნით გამოყენებული იქნა ვასკულარიზებული სხივის კან-ფასციალური ნაფლეთის პრეფაბრიკაცია. ნაფლეთის შიგნითა ზედაპირზე გადანერგილი იქნა კანის ავასკულარული გახლეჩილი პერფორირებული ნაფლეთი (სურ 10,11). ავასკულარული ნაფლეთის შენორცების შემდეგ (2 კვირა), ჩატარდა პრეფაბრიცირებული სხივის ვასკულარიზებული ნაფლეთის თავისუფალი გადანერგვა ისე რომ პრეფაბრიცირების საშუალებით რევასკულარიზებული ავასკულარული კანის ნაფლეთი ფარავდა ლორწოვანი დეფექტს, ხოლო სხივის ნაფლეთის კანი საფარი ქსოვილის დეფექტს (სურ 12-15)



სურ 7-15. აღწერა იხილეთ ტექსტში.

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ რომ, თავ-კისრის ონკოლოგიურ პაციენტების მკურანლობაში საუკეთესო შედეგების მიღწევა არის შესაძლებელი ონკო და პლასტიკური ქირურგიების ორი ბრიგადის შერწყმული მუშაობისას. უნდა გაკეთდეს ერთეულებიანი თუ გადავადებული რეკონსტრუქცია, ეს უნდა იყოს გადაწყვეტილი ორივე ბრიგადის მიერ, პაციენტის დეტალური დათვალიერების და დისკუსიების შემდეგ. ნაფლეთების პრეფაბრიკაციის მეთოდის გვაძლევს საშუალებას დავფაროთ როგორც საფარაი ქსოვილების ასევე ლორწოვანი ქსოვილის დეფექტები.

### ბიბლიოგრაფია:

1. Пачес А.И. (2000) Опухоли головы и шеи. Медицина, Москва, 480 с.
2. Чиссов В.И., Старинский В.В., Петрова Г.В. (2006) Основные показатели онкологической помощи населению России. Состояние онкологической помощи населению России в 2005 г. М., 252 с.
3. Hausamen J.E. The scientific development of maxillofacial surgery in the 20th century and an outlook into the future //J.Cranio\_maxillofacial Surg. – 2001. – Vol.29 (1). – P.2\_2
4. Миланов, Н.О. Пластическая хирургия лучевых повреждений Текст. / Н.О. Миланов, Б.Л. ШИЛОВ. М., 1996. - 78 с.
5. Shilov, B. Préfabrication of free flaps on a base of fascia Text. / B. Shilov, N. Milanov, J. Cannedy // Eur. J. Plast. Surg. 1994. - № 4. - P. 193-197.
6. Решетов, И.В. Пластическая реконструкция глотки и шейного отдела пищевода: лит. обзор. Текст. / И.В. Решетов, С.А. Кравцов // Анналы пластич., реконстр. и эстет, хирург. 1999. - № 3-4. - С. 114-126.
7. Li, L. Successful tissue coverage featuring the latissimus dorsi flap Text. / L Li., R. Schmelzle // J. Cranio-Maxillofacial Surg. -2002. Vol. 30, №. 1. - P. 284.
8. Хитров, Ф.М. Пластическое замещение дефектов лица и шеи филатовским стеблем Текст. / Ф.М. Хитров. — М.: Медгиз, 1954. 245 с.
9. Микрохирургическая пластика при лечении больных с опухолями головы и шеи: методические рекомендации Текст. / сост. В.И. Чиссов [и др.]. — М., 2000,- 11 с.
10. Microvascular free flaps in head and neck cancer surgery in Finland 1986-1995 Text. / A. Makitie [et al.] //Acta Otolaryngol. Suppl. (Stockh.). 1997. - № 529. - P. 245-6.
11. Kimata Y., Uchiyama K., Ebihara S. et al. (2000) Postoperative complications and functional results after total glossectomy with microvascular reconstruction. Plast .Reconstr. Surg., 106(5): 1028–1035.

დ. ნიკოლეიშვილი, ა. ჩხოტუა, გ. მანაგაძე, ლ. მანაგაძე, ა. პერტია

## ექსტრაპერიტონული ენდოსკოპიური რადიკალური პროსტატექტომია (ეერპე), უროლოგიის ეროვნული ცენტრის შედეგები – პირველი 300 შემთხვევა

აღ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი, თბილისი

D. Nikoleishvili, A. Chkhotua, G. Managadze, L. Managadze, A. Pertia

### Endoscopic extraperitoneal radical prostatectomy (EERPE), evaluation after 300 cases at a National Center of Urology

Nationa Center of Urology, Tbilisi

Endoscopic extraperitoneal radical prostatectomy (EERPE) is a well-established and standardized technique for treating patients with localized prostate cancer. Nevertheless, the procedure is continuously being refined with the expansion of anatomical knowledge. Between June 2010 and November 2013, 300 consecutive patients with a mean age of 65.4 years and clinically localized prostate cancer underwent laparoscopic radical prostatectomy at our institution by one surgeon. In this study, the technique and its evolution are presented in detail, along with an analysis of its clinical efficacy. We also consult the literature to compare EERPE to transperitoneal laparoscopic radical prostatectomy.

#### შესავალი

1982 წელს P. Walsh-ისა და Donker-ის მიერ შესწავლილი იქნა პროსტატის ანატომიური თავისებურებები. მათ დაამუშავეს რეტროპუბიკური რადიკალური პროსტატექტომიის ოპერაციული ტექნიკა<sup>1</sup>. მას შემდეგ პროსტატის კიბოს ლოკალური ფორმებისათვის ეს მეთოდი მკურნალობის სტანდარტი გახდა. 1997 წელს მონსურის კლინიკაში (პარიზი), პირველად გაკეთდა ლაპაროსკოპიული რადიკალური პროსტატექტომია<sup>2</sup>, ხოლო Raboy და თანაავტორებმა პირველად შეძლეს ეს ოპერაცია ექსტრაპერიტონული მიდგომით განეხორციელებინათ<sup>3</sup>. ეერპე არის მინიმალურად ინვაზიური პროცედურა. კლინიკური და ონკოლოგიური გამოსავალი მსგავსია, ზოგ კომპონენტში უკეთესიც კი ღია და ტრანსპერიტონული ლაპაროსკოპიულ პროსტატექტომიასთან შედარებით<sup>4</sup>. საქართველოში, უროლოგიის ეროვნული ცენტრი ბაზაზე 2010-2013 წლებში გაკეთდა 300 ოპერაცია (ეერპე). უკვე ჩვენი გამოცდილებითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეერპე პროსტატის კიბოს ლოკალური ფორმების მკურნალობის სტანდარტი გახდა, როგორც ეფექტური და უსაფრთხო მეთოდი.

#### ოპერაციის ტექნიკა

**პაციენტის წინასაოპერაციო მომზადება.** ექსტრაპერიტონული ენდოსკოპიური რადიკალური პროსტატექტომია ტარდება ზოგადი ანესთეზიის ფონზე. აბსოლუტური უკუჩვენება არის გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე დარღვევა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება<sup>5</sup>. პაციენტის მდებარეობაა ტრენდელენბურგის პოზიცია (თავი დახრილი) 10<sup>0</sup>-15<sup>0</sup>-ით. მონიტორი განლაგებულია პაციენტის ფეხების შუაში. ქირურგის პოზიციაა პაციენტისაგან მარცხნივ, პირველი ასისტენტი მარჯვნივ განლაგდება, ხოლო მეორე ასისტენტი, კამერაზე პაციენტის თავთან დგება<sup>6,7</sup>.

#### ოპერაციის ტექნიკა.

**პრეპერიტონული სივრცის დისექცია და ტროაკარების განთავსება.** 12მმ განაკვეთი კეთ-

დება ინფრაუმბილიკალურად, პრეპერიტონულ სივრცეში თავსდება 12 მმ ბალონ ტროაკარი და მხედველობის კონტროლით ბალონი ნელ-ნელა იბერება. შეიქმნება ექსტრაპერიტონული სამუშაო სივრცე. ამავე განაკვეთში თავსდება ჰასონის 10-12მმ ოპტიკური ტროაკარი. ოპერაციისათვის გამოიყენება 0<sup>0</sup> ოპტიკა. CO<sub>2</sub>-ის ინსუფლაცია უნდა იყოს 12-13 მმ/ვწს, რათა ავიცილოთ კანქვეშა ემფიზემა. პნევმოპერიტონეუმის მიღწევის შემდეგ სამი 5მმ და ერთი 12მმ ტროაკარი განლაგდება ჭიპის ქვემოთ, განსაზღვრული პროტოკოლის მიხედვით. 12მმ ტროაკარი გამოიყენება ნემსის შესატანად, ლიმფური კვანძების პაკეტის ამოსაღებად და ენდობეგით პროსტატის ამოსაღებად<sup>8</sup>.

**დორზალური ვენური კომპლექსის ლიგირება.** ოპერაციის პირველი ეტაპია ფასცია ენდოპელვიკას ჩაკეუთაა, რის შემდეგაც გამოჩნდება ანუსის ამწევი კუნთი. შემდეგ გადაიკვეთება პუბოპროსტატული იოგი ორივე მხარეს. “სანტორინის წნული” უნდა გადაიკვანძოს. დორზალური ვენური კომპლექსი არ გადაიკვეთება სანამ პროსტატა სრულიად არ იქნება მობილიზებული.

**შარდის ბუშტის ყელის დისექცია.** კეთდება განივი განაკვეთი ბუშტის ყელის პროექციაზე. დისექცია უნდა შესრულდეს ულტრაბგერითი სკალპელის საშუალებით (Ethicon Endo-Surgery Inc., Cincinnati, OH, USA) ამ ინსტრუმენტი გამოიყენება სასურველია ჭარბი სისხლდენის თავიდან აცილების მიზნით. შემდეგ გადაიკვეთება შარდის ბუშტის ყელის წინა კედელი, უკანა კედელი. პროსტატის პოსტეროლატერალური მობილიზაციის შემდეგ დორსალური ვენური კომპლექსი გადაკვეთება. მის ქვეშ მდებარე ურეთრა გაიკვეთება შერეობრივად. ძალიან მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ურეთრის გრძელი ტაკვი, რათა თავიდან ავიცილოთ გარეთა სფინქტერის დაზიანება<sup>8,9</sup>.

**ვეზიკურეთრული ანასტომოზის ფორმირება.** ამ ანასტომოზის ფორმირებისათვის სტანდარტულად გამოიყენება 7-9 კვანძოვანი ნაკერი. პირველი სამი დაედება უკანა კედლზე, პირობითად 8, 6 და 4 საათზე. ურეთრული კათეტერი ანასტომოზის ფორმირებისათვის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ლატერალური კვანძები დაედება 9 და 3 საათზე, ხოლო ბოლო ორი ვენტრალური 1 და 11-ზე. ანასტომოზირების ასეთი ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელია მიღწეული იქნას სრული ჰერმეტიულობა<sup>10</sup>. ოპერაციის ბოლოს 14 Ch სადრენაჟო მილი თავსდება რეტროპუბიკურ სივრცეში 5მმ პორტიდან და 24 საათის განმავლობაში ვტოვებთ. პრეპარატის ამოღება ხდება მარხენა 12მმ პორტის ადგილიდან. თუ პროსტატა დიდი ზომისაა მაშინ ჭრილობა ცოტათი გაფართოვდება. ჭრილობები გაიკერება შერეობრივად ყრუდ, კანზე ინტრადერმული (კოსმეტიკური) ნაკერი.

#### **გართულებები**

**ვერპე** შემუშავებულია ევროპის სპეციალიზებულ უროლოგიურ ცენტრებში, სადაც აკუმულირებულია უდიდესი ქირურგიული გამოცდილება. მიუხედავად ყველაფრისა ესა თუ ის გართულება ყოველთვის ფიქსირდება. ამ მიმოხილვაში ვერპეს მთლიანი გართულებათა სიხშირე 2-17%ია<sup>8,11</sup>. გართულებები პირდაპირ კავშირშია ქირურგის გამოცდილებასთან და კვალიფიკაციასთან.

ყველაზე ხშირად ფიქსირდება შემდეგი გართულებები: ინტრაოპერაციული ეპიგასტრული სისხლძარღვების დაზიანება, რომელიც ძირითადად მე-4 ტროაკარის ჩადგმის დროს ვითარდება. დაზიანების შემთხვევაში ბიპოლარით და/ან კლიპირებით შეიძლება ჰემოსტაზის მიღწევა. სისხლძარღვთა დაზიანების სიხშირით მეორე ადგილი არის დორზალური ვენური კომპლექსი<sup>11</sup>. თუ დაზიანება საშუალო ხარისხისაა აუცილებელია CO<sub>2</sub>-ის წნევის გაზრდა 20მმ/ვწს-მდე. შემდგომ აუცილებლად ლიგირებაა საჭირო. რექტუმის დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ინტრაოპერაციულად გამოვლინდეს დეფექტი და ენდოსკოპიურად 2 სართულად გაიკეროს. ლიმფა-დენექტომიის შედეგად ხშირია ლიმფოცელეს ჩამოყალიბება. ლიმფოცელეს აქვს საკმაოდ სერიოზული გართულებები, ტკივილი, ტემპერატურის მომატება ინფიცირების ფონზე, მოძარდვის გაუარესება, ფეხის შეშუპება და თრომბოემბოლიის განვითარება. მისი მკურნალობა შესაძლებელია პერიტონეუმის ფენესტრაციით. ინტრაოპერაციული ფენესტრაცია კი საგრძნობლად ამცირებს პოსტოპერაციულად ლიმფოცელეს გაჩენის რისკს. შარდის

ბუშტისა და შარდსაწვეთების დაზიანება იშვიათი გართულებებია, რომელიც უხშირესად ვითარდება გაფართოებული ლიმფადენექტომიის დროს, ან ბუშტის ყელის დისექციისა და ანასტომოზის ფორმირების შემთხვევაში. კათეტერის ამოღება პოსტოპერაციულად მე-5 დღეს ხდება. ექტრავაზაციის შემთხვევაში კათეტერის ამოღება გადავადდება 3-7 დღით<sup>8-11</sup>.

### კლინიკური შეფასება

შეფასებულია უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ჩატარებული 300 პაციენტის რადიკალური პროსტატექტომია **ვერპე** მეთოდით. ეს ოპერაციები გაკეთდა 2010 ივნისიდან – 2013 წლის ნოემბრამდე, ერთი ქირურგის მიერ. თუ პსა  $\geq 10$ გ/მლ და/ან გლისონის ქულათა ჯამი  $\geq 8$  პაციენტს უტარდებოდა მენჯის ლიმფადენექტომია. ბილატერალური ნერვის დამზოგველი ოპერაცია გაუკეთდა პაციენტებს T1-T2 დაავადებით, როდესაც პსა  $< 10$ გ/მლ და გლისონის ქულათა ჯამი  $\leq 3+4$ . უნილატერალური ნერვსპარინგი გაუკეთდა პაციენტთა ჯგუფს, რომელთაც გლისონის ჯამი 4+3 ან 4+4 და პალპირებადი ტუმორი ჰქონდათ. პერიოპერაციული მონაცემები ასეთია: პაციენტთა საშუალო ასაკი 65.4 წელი (52-82 წელი). საშუალო პსა 9.8 ნგ/მლ და ოპერაციის საშუალო დრო 156.8 წუთი. სისხლკარგვა საშ. 320 მლ. და ჰემოტრანსფუზიის სიხშირემ შეადგინა 0.8%. 300 პაციენტიდან არცერთი შემთხვევაში არ დაფიქსირდა კონვერსია. მენჯის ლიმფადენექტომია გაუკეთდა 67%-ს, დამხურავი ფოსოს ან უმეტესობას გაფართოებულ საზღვრებში (თედოს საერთო სისხლძარღვებამდე). ბილატერალური ნერვდამზოგველი ვერპე გაუკეთდა პაციენტთა 19%-ს, უნილატერალური 12%. 12 პაციენტს რადიკალური პროსტატექტომიის დროს, სიმულტანურად ჩაუტარდა ინგვინალური ჰერნიოპლასტიკა ბადის გამოყენებით. ასევე 9 პაციენტში ვერპეს დროს მოხდა შარდის ბუშტის კენჭების ექსტრაქცია, 3 მათგანს დასჭირდა ცისტოლითოტომია. პოსტოპერაციული მონაცემები ასეთია, 67%-ს დაუდგინდა pT2 სტადია, ამათგან 12%-ს ჰქონდა პოზიტიური საზღვარი, 16.5% დაუდგინდა pT3, 38.7%-ში პოზიტიური საზღვარი დაუდგინდა. ლიმფადენექტომიის შემდეგ მეტასტაზი აღმოაჩნდა 8,6%-ს ვისაც გაუკეთდა ლიმფადენექტომია. კონტინენცია აღინიშნებოდა 67%, 80.1% და 90% შემთხვევებში 3, 6 და 12 თვის შემდეგ. პოსტოპერაციული ერექციული ფუნქცია ბილატერალური ნერვსპარინგის ჯგუფში უკეთესი იყო. განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა ასაკი. 55 წლამდე პაციენტებში რეაბილიტაცია გაცილებით ეფექტური იყო ვიდრე უფრო ხანშიშესულებში. მთლიანად პოტენციის მარეგულირებელი ნერვდამზოგველი ოპერაციის შემდეგ არის 78%.

მთლიანად გართულებების სიხშირე არის 0.89%. ინტრაოპერაციული 7.28% და აღრეული პოსტოპერაციული 0.43%. რექტუმის დაზიანება 1 შემთხვევაში და ინტრაოპერაციულადვე გაიკერა ორ შრედ. ინვაზიური ინტერვენცია პირველი თვის განმავლობაში დასჭირდა 3.45%. ანასტომოზის ექტრავაზაცია დაფიქსირდა 26 შემთხვევაში და ხან-გრძლივი კათეტერიზაციით გადაიჭრა პრობლემა.

**დასკვნა:** თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით ვერპე შეიძლება განიხილებოდეს როგორც სტანდარტული მკურნალობა პროსტატის ლოკალური კიბოს დროს. ამ ტექნიკის უსაფრთხოება და საიმედოობა დადასტურებულია პაციენტების რთულ კონტინგენტზე<sup>12-13</sup>.

1. Walsh PC, Donker PJ. Impotence following radical prostatectomy: insight into etiology and prevention. J Urol. 1982 Sep;128(3):492-7.
2. Guillonau B, el-Fettouh H, Baumert H, Cathelineau X, Doublet JD, Fromont G, Vallancien G. Laparoscopic radical prostatectomy: oncological evaluation after 1,000 cases a Montsouris Institute. J Urol. 2003 Apr;169(4):1261-6.
3. Raboy A, Ferzli G, Albert P. Initial experience with extraperitoneal endoscopic radical retropubic prostatectomy. Urology 1997; 50: 849–53.
4. Paul A, Ploussard G, Nicolaiew N, Xylinas E, Gillion N et al. Oncologic outcome after extraperitoneal laparoscopic radical prostatectomy: midterm follow-up of 1115 procedures. Eur Urol 2010; 57: 267–72.
5. Stolzenburg JU, Aedtner B, Olthoff D, Koenig F, Rabenalt R et al. Anaesthetic considerations for endoscopic extraperitoneal and laparoscopic transperitoneal radical prostatectomy. BJU Int 2006; 98: 508–13.

6. Stolzenburg JU, Do M, Pfeiffer H, König F, Aedtner B et al. The endoscopic extraperitoneal radical prostatectomy (EERPE): technique and initial experience. *World J Urol* 2002; 20: 48–55.
7. Rassweiler J, Sentker L, Seemann O, Hatzinger M, Stock C et al. Heilbronn laparoscopic radical prostatectomy. Technique and results after 100 cases. *Eur Urol* 2001; 40: 54–64.
8. Stolzenburg JU, Rabenalt R, Do M, Kallidonis P, Liatsikos EN. Endoscopic extraperitoneal radical prostatectomy: the University of Leipzig experience of 2000 cases. *J Endourol* 2008; 22: 2319–25.
9. Stolzenburg JU, Kallidonis P, Minh D, Dietel A, Häfner T et al. Endoscopic extraperitoneal radical prostatectomy: evolution of the technique and experience with 2400 cases. *J Endourol* 2009; 23: 1467–72.
10. Poulakis V, Skriapas K, de Vries R, Dillenburg W, Witzsch U et al. Vesicourethral anastomosis during endoscopic extraperitoneal radical prostatectomy: a prospective comparison between the single-knot running and interrupted technique. *Urology* 2006; 68: 1284–9.
11. Stolzenburg JU, Truss MC, Bekos A, Do M, Rabenalt R et al. Does the extraperitoneal laparoscopic approach improve the outcome of radical prostatectomy? *Curr Urol Rep* 2004; 5: 115–22.
12. Tobias-Machado M, Lasmar MT, Medina JJ, Forseto PH Jr, Juliano RV et al. Preliminary experience with extraperitoneal endoscopic radical prostatectomy through duplication of the open technique. *Int Braz J Urol* 2005; 31: 228–35.
13. Erdogru T, Teber D, Frede T, Marrero R, Hammady A et al. Comparison of transperitoneal and extraperitoneal laparoscopic radical prostatectomy using match-pair analysis. *Eur Urol* 2004; 46: 312–9.

დ. ლომიძე, გ. კეკელიძე

## გლიობლასტომის რადიოთერაპიული მკურნალობის ასპექტები

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა.  
რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტი

D. Lomodze, G. Kevlishvili

### Radiotherapy treatment aspects of GBM (Glioblastoma Multiforme) patients

*Nuclear Medicine Department, High Technology Medical Center, University Clinic,*

**Purpose:** The optimal abbreviated radiotherapy (RT) schedule for elderly patients with Glioblastomamultiforme (GBM) remains to be established. The aim of this study is to evaluate effectiveness of standard (60Gy in 30 fractions) and short (40Gy in 15 fractions) radiotherapy treatment courses and compare overall survival, progression free survival and quality of life between these two different arms in correlation with KPS (Karnofsky Performance Status), side effects, toxicities and steroid addiction.

**Methods/Materials:** Between 2009 and 2013, 75 patients (age>60 years) with GBM were participating in this study, among them 62 patients were with KPS <70%. 54 patients were characterized by age  $\geq$  60 years and KPS <70% simultaneously; 40 patients were involved in the group of standard treatment course and 35 of them participated in the group of short treatment course.

**Results:** Average survival was in the range of 30 to 1220 months for these 75 patients. They were divided in two different arms: standard radiotherapy course (60 Gy in 30 fractions) and short radiotherapy course (40 Gy in 15 fractions). According to the results of the study survival of the patients from these two groups are almost the same. Median survival time for standard radiotherapy group was 8.3 months, while for the short radiotherapy group it was 8.2 months. Decrease in KPS (Karnofsky Performance Status) index was observed by average 15% in standard course group patients and by 5% in the short course patients accordingly. The reason of the decrease in KPS index was low KPS at the baseline.


**Conclusions:** There is no difference in survival between patients receiving the short or standard course of radiotherapy. The study still continues, although according to recent results short course of radiotherapy may be recommended as a postoperative treatment option for elderly GBM patients.

თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნეები იშვიათი ნეოპლაზმებია და ავთვისებიანი წარმონაქმნების საერთო რაოდენობის 1.5%-ს შეადგენს. თავის ტვინის სიმსივნეთა ჰისტოლოგიური გრადაცია უმნიშვნელოვანესია და ამდენად პათოლოგიური დიაგნოზი უშუალოდ განსაზღვრავს მკურნალობის ტაქტიკასა და პროგნოზს.


ავთვისებიანი გლიომა თავის ტვინის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიმსივნეა მოზრდილებში. მათგან დაახლოებით 75% მაღალი ავთვისებიანობის ხარისხით ხასიათდება. ასეთ სიმსივნეებში გრადი IV, ანუ მულტიფორმული გლიობლასტომა (GBM) ყველაზე აგრესიული სიმსივნეა და საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივიობა ასეთ პაციენტებში 8-14 თვეს შეადგენს.

ამ დიაგნოზის მქონე პაციენტთა საყოველთაოდ აღიარებული, სტანდარტული მკურნალობის კურსი მოიცავს ნეიროქირურგიულ ჩარევას შემდგომი პოსტოპერაციული რადიოთერაპიით (სიმსივნეზე 60 გრეის მიტანით 30 ფრაქციაში) ან მხოლოდ ქიმიოთერაპიას. მიუხედავად ჩატარებული აგრესიული მკურნალობისა, შედეგები ცუდია და პაციენტთა უმრავლესობა მკურნალობიდან მოკლე ხანში იღუპება.

ბოლო ათწლეულში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაინერგა GBM-ის მკურნალობა ქიმიო-სხვიური თერაპიით სხვადასხვა ფრაქციონირებისა და ტექნიკის გამოყენებით.




\*PCP prophylaxis was required for patients receiving TMZ during the concomitant phase.  
Stupp R, et al. N Engl J Med. 2005;352:987-996.



Stupp R, et al. N Engl J Med. 2005;352:987-996.

ამჟამად კონკურენტული ქიმიო-სხივური თერაპია თემოზოლამიდით რადიოთერაპიასთან ერთად მკურნალობის სტანდარტულ სქემად ითვლება და იძლევა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას პირველად დიაგნოსტირებულ GBM პაციენტებში მხოლოდ სხივურ თერაპიასთან შედარებით.

კლინიკური პროგნოსტული ფაქტორების შეფასებამ გვაჩვენა, რომ ქირურგიული ჩარევისა და სიმსივნის ლოკალიზაციის გარდა, დამატებით, ახალგაზრდა ასაკი და პაციენტის ზოგადი მდგომარეობის მაღალი მაჩვენებელი პოზიტიურად კორელირდება სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. სამწუხაროდ პაციენტების უმრავლესობა ასაკოვან ჯგუფს განეკუთვნება.



1578 პაციენტზე ჩატარებულმა (RTOG - Radiation Therapy Oncology Group) კვლევებზე დაყრდნობით Curran et al-მა დაადგინა, რომ ასაკი (>50 წელზე) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ნეგატიურად კორელირებს სიცოცხლის ხანგრძლივობასთან თავის ტვინის მულტიფორმული გლიობლასტომის მქონე პაციენტებში.

გარდა ასაკისა >50 წელზე, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა აღმოჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროგნოსტული ფაქტორი. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ასაკიან პაციენტებში >50 წელი, კარნოვსკის ინდექსით (KPS score) <70% იყო 4.6 თვე. სამწუხაროდ, პაციენტები >50 წელი, კარნოვსკის ინდექსით <70% წარმოადგენდა ამ კვლევაში მონაწილე პაციენტთა 3/4-ს. ასაკიან პაციენტებში ჩატარებული სხვა კვლევების შედეგებიც იდენტურია და ამ პაციენტთა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 6 თვეს შეადგენს.

Recursive partitioning analysis (RPA) class	Definition	Historical Median Survival Time	Historical 1-Year Survival	Historical 3-Year Survival	Historical 5-Year Survival
III	Age < 50, KPS ≥ 90	17.1 months	70%	20%	14%
IV	Age < 50, KPS < 90	11.2 months	46%	7%	4%
	Age > 50, KPS ≥ 70, surgical removal with good neurologic function				
V + VI	Age ≥ 50, KPS ≥ 70, surgical removal with poor neurologic function	7.5 months	28%	1%	0%
	Age ≥ 50, KPS ≥ 70, no surgical removal				
	Age ≥ 50, KPS < 70				

ხანგრძლივი აგრესიული მკურნალობით მიღებული შედეგები არ არის დამაიმედებელი, რის გამოც მრავალი ავტორი მოგვიწოდებს ასეთ პაციენტებში ქიმიო-სხივური თერაპიის ერთდროული გამოყენებისაგან თავი იქნას შეკავებული. მხოლოდ სხივური თერაპიის ოპტიმიზაციისათვის სხვადასხვა კვლევებში გამოიყენება რადიოთერაპიის მოკლე კურსები იმის გათვალისწინებით, რომ შედეგები ორიენტირებული პალიატიურ გამოსავალზე. ასეთი ცუდი პროგნოზის მქონე პაციენტთა პოსტოპერაციული რადიოთერაპიული მკურნალობის ოპტიმალური რეჟიმი ჯერჯერობით ისევ კვლევის საგანია.

ავტორები	პაციენტთა რაოდენობა	ასაკი	კარნოვსკის ინდექსი KPS	ფრაქციონირების რეჟიმი	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
Newall et al	18	50 <	70% <	ტოტალური თავის ტვინის დასხივება 30გრეი/10 ფრ	კვირა 44
Hernandez et al	14	60 >	40-70%	გრეი 3 კვირაში 54-55	კვირა 30.4
Bauman et al	29	65 ≤	50% ≥	გრეი 3 კვირაში 54-55	კვირა 30.4
Kleinberg et al	219	50 ≤	70% >	ტოტალური თავის ტვინის დასხივება 30გრეი/10ფრ 2კვირა შუალედი + 21გრეი/7ფრ	თვე 5
Jeremic et al	47	60 ≤	50-70%	40გრ/15ფრ	თვე 9
Roa et al	100	60 ≤	70% >	40გრ/15ფრ	თვე 5.6

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტში 4 წელია მიმდინარეობს თავის ტვინის მულტიფორმული გლიობლასტომის სხვადასხვა ასაკის პაციენტთა მკურნალობა და შესაბამისი კვლევები. კვლევის მიზანია შეფასდეს მოკლე და ხანგრძლივი რადიოთერაპიული მკურნალობის კურსის ეფექტურობა რეციდივის გამოვლენის, საერთო სიცოცხლის ხანგრძლივობისა და დაავადების გარეშე სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, პაციენტის ზოგად მდგომარეობასთან (კარნოვსკის შკალასთან) კორელაციაში, გვერდითი ეფექტების, ტოქსიური გამოვლინებების, და ჰორმონ-დამოკიდებულებასთან კავშირში.

კვლევის მასალა და მეთოდი: კვლევაში მონაწილეობდა 60 წელზე ზემოთ ასაკის სულ 75 პაციენტი, მათგან დაბალი კარნოვსკის ინდექსით <70% 62 პაციენტი. ერთდროულად 60 წელზე მეტი და 70% KPS-ზე ნაკლები იყო 54 მათგანი. სტანდარტული რადიოთერაპიული მკურნალობა (60 გრეი 30 ფრაქციაში) ჩაუტარდა 40 პაციენტს, ხოლო რადიოთერაპიის მოკლე კურსი (40 გრეი 15 ფრაქციაში) ჩაუტარდა 35 პაციენტს.

შედეგები: შედეგების მონიტორინგის საშუალო მონაცემები 75 პაციენტისათვის 2 პარალელურ ჯგუფში: სტანდარტული რადიოთერაპია და რადიოთერაპიის მოკლე კურსი. დაკვირვებამ აჩვენა, რომ რადიოთერაპიის მოკლე კურსის შედეგები იდენტურია სტანდარტული (60 გრეი 30 ფრაქციაში) მკურნალობის კურსისა. საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა სტანდარტული კურსის ჯგუფის პაციენტებისათვის შეადგენდა 8.3 თვეს, მაშინ როცა მოკლე კურსის ჯგუფის პაციენტებისათვის (40 გრეი 15 ფრაქციაში) 8.2 თვეს. მკურნალობის პროცესში კარნოვსკის ინდექსის შემცირება აღინიშნა სტანდარტული მკურნალობის პაციენტებში საშუალოდ 15 პროცენტით, მაშინ როცა მოკლე კურსის შემთხვევაში მხოლოდ 5 %-ით, რაც სავარაუდოდ პაციენტთა ასაკითა და მკურნალობამდე დაფიქსირებული დაბალი კარნოვსკის ინდექსით იყო განპირობებული.

**დასკვნა:** მიღებული შედეგებით სტანდარტული და მოკლე რადიოთერაპიული კურსის ჩატარების შემდგომ პაციენტთა სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით განსხვავება არ გამოვლინდა. კვლევა გრძელდება, თუმცა მიღებული შედეგები იძლევა უფლებას სხივური თერაპიის მოკლე კურსი იყოს რეკომენდირებული ასაკიანი მულტიფორმული გლიობლასტომის მქონე პაციენტებისთვის, როგორც პოსტოპერაციული მკურნალობის მეთოდი.

## ბიბლიოგრაფია:

1. Jeremic B, Shibamoto Y, Grujicic D, Milicic B, Stojanovic M, Nikolic N, Dagovic A, Aleksandrovic J. Short-course radiotherapy in elderly and frail patients with glioblastoma multiforme. A phase II study. *J Neuro-Oncol* 44: 85-90, 1999.
2. Greig N, Ries L, Yanick R, et al. Increasing annual incidence of primary malignant brain tumours in the elderly. *J Natl Cancer Inst* 1990; 82 : 1621-4.
3. Jeremic B, Jovanovic D, Djuric Lj, Jevremovic S, Mijatovic Lj. Advantage of post-radiotherapy chemotherapy with CCNU, Procarbazine and vincristine (mPCV) over chemotherapy with VM-26 and CCNU. *J Chemother* 1992; 4 : 123-6.
4. Jeremic B, Grujicic D, Antunovic V, Djuric Lj, Stojanovic M, Shibamoto Y : Hyperfractionated radiation therapy (HFX RT) followed by multiagent chemotherapy (CHT) in patients with malignant glioma : A phase II study. *Int J Radiat Oncol Biol Phys* 1994; 30 : 1179-85.
5. Jeremic B, Grujicic D, Antunovic V, Djuric Lj, Shibamoto Y : Accelerated hyperfractionated radiation therapy for malignant glioma. A phase II study. *Am J Clin Oncol (CCT)* 18 : 449-53, 1995.
6. Jeremic B, Shibamoto Y, Grujicic D, Milicic B, Stojanovic M, Nikolic N, Dagovic A, Aleksandrovic J. Short-course radiotherapy in elderly and frail patients with glioblastoma multiforme. A phase II study. *J Neuro-Oncol* 44: 85-90, 1999.
7. Roa W, Brasher PMA, Baumann G, et al. Abbreviated course of radiation therapy in older patients with glioblastoma multiforme: a prospective randomized clinical trial. *J. Clin Oncol* 22: 1583 – 1588, 2004. 50. Konski A, Bracy P, Weiss S, Grigsby P : Cost-utility analysis of a malignant glioma protocol. *Int J Radiat Oncol Biol Phys* 39 : 575-578, 1997.

ა. შენგელაია, თ. ჯავახაძე, მ. ხვედელიძე

## ბავშვთა ასაკის ლეიკემიების მკურნალობის ოპტიმიზაცია საქართველოში მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდების დანერგვა

მ.ი.აშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო

A. Shengelaia , T. Javakhadze , M. Khvedelidze

### Optimization of treatment of childhood leukemia by implementation of state of the art diagnostic methods

*M. Iashvili Children's Central Hospital*

Outcome of childhood oncohematologic diseases has significantly changed within the last decade, survival rate of patients affected with leukemia and lymphoma has increased to 70%.

Analysis of patient data at the Department of Hematology/Oncology at M. Iashvili Children's Central Hospital revealed that, the potential reason of lower event free survival rates in Georgian patients, when compared to the results achieved in the United States and European countries, might be either absence of several key first line investigations or low quality of already available investigations. Among them are immunophenotyping of childhood hematological malignancies and Assessment of Minimal Residual Disease (MRD) by flow cytometry.

In 2013 Georgian Association of Pediatric hematologists acquired funding from Shota Rustaveli National Science Foundation, which made it possible to implement flow cytometry method at M. Iashvili Children's Central Hospital. New specialized laboratory has been set up, where high standard diagnostic immunophenotyping studies and assessment of minimal residual disease in patient samples are being performed.

On the way of successful implementation of high technology methodologies it has become available to:

1. Define Immunological subtypes of acute leukemia
2. Define the risk groups of patients
3. Choose the most optimal treatment approach
4. Make prognosis and prediction of treatment outcomes.

Use of these methodologies in clinical practice will significantly facilitate implementation of Bone Marrow Transplantation in Georgia, which is a treatment option with no alternatives when dealing with leukemia relapses and other cancers with bone marrow involvement.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბავშვთა ასაკის ონკო-ჰემატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის გამოსავალი, კერძოდ ლეიკემიითა და ავთვისებიანი ლიმფომებით დაავადებული პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელი ერთეული შემთხვევებიდან 70%-მდე გაიზარდა.

ამასთანავე, უკანასკნელ წლებში თითქმის აღარ ხდება ქვეყნიდან ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიური პაციენტების სამკურნალოდ გადინება, რაც უკავშირდება თანამედროვე პოლიქმიოთერაპიული პროტოკოლის **BFM (Berlin, frankfurt, munster-სამუშაო ჯგუფი)** დანერგვას.

**აღნიშნული პროტოკოლი 2009 წელს ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მკურნალობის ეროვნულ გზამკვლევად/პროტოკოლად იქნა მიღებული.**

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, საქართველოში ლეიკემიებითა და ლიმფომებით დაავადებული ბავშვების გადარჩენის მაჩვენებელი წამყვანი ქვეყნების მაჩვენებელზე დაბალია: მწვავე ლეიკემიების 5 წლიანი უშემთხვევო გადარჩენის მაჩვენებელი შეადგენს 70%-ს, მაშინ როდესაც განვითარებული ქვეყნების კლინიკებში ეს მაჩვენებელი 85%-ს აღემატება.

საერთაშორისო ექსპერტთა და ონკო-ჰემატოლოგიური დეპარტამენტის მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში ლეიკემიებისა და ლიმფომების მკურნალობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებთან შედარებით ძირითადად განპირობებულია შემდეგი პრობლემებით:

ლეიკემიებისა და ლიმფომების სიმსივნური სუბსტრატის იმუნოფენოტიპური კვლევის სარწმუნოების დაბალი ხარისხით, ვინაიდან არ ხდება ბლასტური უჯრედების იმუნოფენოტიპური კვლევა გამდინარე ციტომეტრული მეთოდების გამოყენებით.

თუ მორფოლოგიური და ციტოქიმიური კვლევით შესაძლებელია მოხდეს იდენტიფიცირება ლიმფოიდური და მიელოიდური რიგის ბლასტური უჯრედებისა, იმუნოფენოტიპირება საშუალებას იძლევა განისაზღვროს სიმსივნური უჯრედის ხაზოვნება, რაც კიდევ უფრო ზრდის მკურნალობის შედეგებს.

საქართველოში დღემდე არ ტარდებოდა პროგრამული ქიმიოთერაპიით გათვალისწინებული რიგი სავალდებულო კვლევები, მათ შორის უმნიშვნელოვანესი კვლევა, კერძოდ მინიმალური რეზიდუალური დაავადების (MRD) განსაზღვრა.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველოს პედიატრ-ჰემატოლოგთა ასოციაციის მიერ 2013 წელს მოპოვებული იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი, რომლის საშუალებით მ. იაშვილის ბ/ც კლინიკაში დაინერგა გამდინარე ციტომეტრის გამოყენება, შეიქმნა სპეციალიზებული ლაბორატორია, სადაც წარმოებს მაღალი სტანდარტის იმუნოფენოტიპური კვლევების ჩატარება ლეიკემიის იმუნოლოგიური ვარიანტისა და მინიმალური რეზიდუალური დაავადების განსაზღვრის მიზნით.

ჩვენს მიერ ჩატარდა 50 პაციენტის იმუნოფენოტიპური კვლევა, რომელთა ზუსტმა დიაგნოსტიკამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია ამ პაციენტთა სრული რემისისთვის. აგრეთვე განისაზღვრება მინიმალური რეზიდუალური დაავადების მაჩვენებლები (MRD) მწვავე ლეიკემიით დაავადებული პაციენტების მკურნალობის მე-15, 78-ე დღეს და დაცვითი თერაპიის დასრულების შემდეგ (სულ 24 შემთხვევა )

აღნიშნული მაღალ ტექნოლოგიური მეთოდების დასანერგად შესაძლებელი გახდა:

1. ლეიკემიის იმუნოლოგიური ქვეტიპის განსაზღვრა
2. დაავადების რისკის ჯგუფების განსაზღვრა
3. ოპტიმალური მკურნალობის შერჩევა
4. დაავადების გამოსავლის პროგნოზირება.

მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და რეციდივის ალბათობის დადგენის მიზნით გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით იმუნოფენოტიპირების ჩატარებისას შესაძლებელია დავადგინოთ:

- სიმსივნური უჯრედების, ბლასტების ხაზოვნება
- მომწიფების ხარისხის დადგენა და კლასიფიცირება
- აბერაციული ანტიგენური ექსპრესიის აღმოჩენა
- შერეული ფენოტიპის მქონე მწვავე ლეიკემიის იდენტიფიკაცია
- მინიმალური რეზიდუალური დაავადების ფენოტიპური პატერნების განსაზღვრა .

ALL-BFM,UKLL-2011 და საერთაშორისო კლინიკურმა კვლევებმა კიდევ ერთხელ ცხადყო გამდინარე ციტომეტრიის არსებითად მნიშვნელოვანი როლი მინიმალური ნარჩენი დაავადების მონიტორინგის მიმართულებით.

ზემოთ აღნიშნული კვლევების ჩატარების შედეგად:

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა ონკო-ჰემატოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკა და შემცირდა დიაგნოსტიკური შეცდომების ალბათობა;
- განხორციელდა ოპტიმალური და მიზანმიმართული ქიმიოთერაპია და გაიზარდა ლეიკემიებითა და ლიმფომებით დაავადებულ ბავშვთა გადარჩენის მაჩვენებლები

განვითარებული ევროპული ქვეყნების მაჩვენებლების დონემდე.

- განხორციელდა ოპტიმალური სამედიცინო მენეჯმენტი, შემცირდა არამიზნობრივი ხარჯები.

ამ მეთოდების გამოყენება და დანერგვა ხელს შეუწყობს ძველი ტვინის ტრანსპლანტაციის ეფექტურ დანერგვას საქართველოში, რაც ლეიკემიების რეციდივისა და ძველის ტვინის დაზიანებით მიმდინარე დაავადებების დროს მკურნალობის უალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს.

1. **Campana D, Pui CH**

**Detection of minimal residual disease in acute leukemia: methodologic advances and clinical significance. Blood. 1995;85:1416.**

1. **Campana D, Coustan-Smith E**

**Detection of minimal residual disease in acute leukemia by flow cytometry. Cytometry. 1999;38:139.**

2. **Faroni L, Harrison CJ, Hoffbrand AV, Potter MN**

**Investigation of minimal residual disease in childhood and adult acute lymphoblastic leukaemia by molecular analysis. Br J Haematol. 1999;105:7.**

3. **Coustan-Smith E, Behm FG, Sanchez J, et al**

**Immunological detection of minimal residual disease in children with acute lymphoblastic leukaemia. Lancet. 1998;351:550**

4. **Farahat N, Morilla A, Owusu-Ankomah K, et al**

**Detection of minimal residual disease in B-lineage acute lymphoblastic leukaemia by quantitative flow cytometry. Br J Haematol. 1998;101**


5. **Ciudad J, San Miguel JF, Lopez-Berges MC, et al**

**Prognostic value of immunophenotypic detection of minimal residual disease in acute lymphoblastic leukemia. J Clin Oncol. 1998;16:3774.**



1951 წელს ქ. ბათუმში დაახსდა აჭახის ავტონომიური ხესპუბლიკის ონკოლოგიური დისპანსეი, ხომელიც დღემდე მაღალკვალიფიციური მომსახურებას უწევს აჭახისა და გუიის ხეგომნებს. დანესებულებას 2013 წელს ჩაუტახდა სხელი ხეგონსტრუქცია და აღიჭურვა თანამედრხოვე სამედისინო აპარატურით. თუმცა უღინიკის მითავაი ღიხსება აქ მომუშავე უხოფესიონაღთა გუნდია, ხომელთა შოხის 7 მედიცინის დოქტოხია.

- უღინიკაში ფუნქციონირიხებს 7 დეპარტამენტი:
- უოლიუღინიკური-დიაგნოსტიკური;
  - ქიმიოთერაპიული;
  - გინეკოლოგიური;
  - მამოლოგიური;
  - სხივიური თერაპია;
  - მედიკამენტოზური თერაპია;
  - ანესთეზიისა და რეანიმაციის.



## ონკონკურაბელური პაციენტების სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის გამოცდილება

ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის კლინიკა  
/თბილისი, საქართველო/

**R. Ghvamichava, M. Shavdia, I. Abesadze, G. Metivishvili**

### **Palliative Care Experience of Advanced Cancer Patients**

*Palliative Care Unit of Cancer Prevention Center (Georgia)*

First Palliative Care Clinic in Caucasian Countries, providing services to patients with advanced cancer started in 4.01.2005, in Tbilisi, Georgia. During 2005-2013, 3475 patients were hospitalized. Among them: women- 64,4%, men- 35,6%. Age group varied from 16-87 years. 90% of patients had advanced metastases, 10% locally spread tumor process. Poor functional status was seen in all the patients. ECOG I grade-47 patients (1,3%), ECOG II- 499 (14,4%), ECOG III-972 (28,0%); ECOG IV – 1957 (56,3%). i.e. poor physical state was observed in 75% of patients. As average, each patient had 7 symptoms. Most frequent of them: asthenia (90,8%), different intensity pain syndrome (87,1%), anorexia (29,5%), dry mouth (46,1) dyspnoea (35,0%) delirium (35,0%), cachexy (28,5%), vomiting/nausea (33,8%), poor dejection (52,2%) urination (31,0%), insomnia (30,2%). Most frequent pathologies: weight loss (more than 10 kg-63,0%), restricted movement (52,9%), anaemia (41,1%), palpable tumour (31,4%), tumescent limbs (26,4), pathological discharge (24,1%), ulceration and festering (13,9%), ascites (13,6), liquid in pleural area (10,5%), pathological fractures (8,7%), etc. Patients undergo symptomatic treatment: detoxication - 98,4%, vitamin therapy-89,6%, different intensity pain relief - 99,5%, pain relief with opioids - 34,7%, hormone therapy - 81,7%, chemotherapy- 33,3%, blood substitutes transfusion - 14,1%, paracentesis and pleurocentesis - 10,8%, small surgical interventions - 7,2%, administration of bisphosphates-6,2%, etc. Patients (100%) were provided with physiological and spiritual support (83,9%). Evaluation of quality of life using Karnovski scale is as follows: improvement in 14,9 % of cases, stabilization - 62,5%, worthening - 11,7%. Lethal cases during hospitalization - 24,1%.

**Conclusions:** 1. Palliative methods of correction insure at least improvement, if not stabilization of health status of incurable patients.

კავკასიაში პალიატიური მზრუნველობის პირველი სტაციონარული განყოფილება გაიხსნა თბილისში /ლისის ტბის დასახლება/ ონკოპრევენციის ცენტრის ინიციატივით 2005 წლის 4 იანვარს 12 საწოლზე, 2007 წლიდან კი – 18-ზე. 4/01/2005 წლიდან 2013 წლის 20 ოქტომბრამდე სულ ჰოსპიტალიზებული იყო 3475 ანუ წელიწადში საშუალოდ 386 პაციენტი (ცხრილი 1). კლინიკაში ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა 97,8%-ს ჰქონდა სხვადასხვა ორგანოს სოლიდური ავთვისებიანი სიმსივნე, ხოლო 2,2% სისხლძმადი ორგანოების ავთვისებიანი დაავადება. სოლიდური ავთვისებიანი სიმსივნეები შემთხვევათა 97,7%-ში იყო ეპითელიური წარმოშობის, ხოლო 2,3%-ში შემაერთებელ ქსოვილოვანი გენეზის. 3475 პაციენტიდან 2881 /82,9%/ იყო პირველადი, დანარჩენი - 594 /17,1%/ მოთავსდა განმეორებით. 2012-2013 წლებში ჰოსპიტალიზებულთა რიცხვი (1055) 2,1 ჯერ მეტი იყო, ვიდრე 2005-2006 წწ.-ში (477). პაციენტთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, შესაბამისი რაოდენობის საწოლების შემთხვევაში, რადგან დაავადებათა კონტროლის ინსტიტუტის მონაცემებით 2005-2013 წწ.-ში ყოველწლიურად გამოვლენილი 7000 პირველადი პაციენტიდან დიაგნოზის დადგენის მომენტისთვის საშუალოდ 42-45%-ს (3000) IV სტადია ჰქონდა. მათგან 80,0% კვდებოდა იმავე წელს. ამრიგად, მინიმალური გათვლებით პალიატიურ მზრუნველობას ჩვენს ქვეყანაში წლიურად საჭიროებს 2000-2500 ინკურაბელური პაციენტი, რეალურად კი მას იღებს 500-600.

**ცხრილი 1. 2005-2013 წლებში ჰოსპიტალიზებულ ონკოინკურაბელურ პაციენტთა ყველაზე ხშირი პირველადი სიმსივნის ლოკალიზაცია (აბს. რიცხვებში და პროცენტში)**

№	ლოკალიზაცია	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2005-2013
1	ბუბუ	/35	/66	/93	/86	/95	/79	/76	/126	/109	/765
		16,2	25,3	25,8	25,6	22,3	20,3	21,0	22,1	22,5	22,0
2	მსხვილი ნაწლავი	/77	/73	/42	/28	/58	/54	/27	/69	/49	/477
		35,6	28,0	11,6	8,3	13,6	13,9	7,9	12,1	10,1	13,7
3	ფილტვი	/18	/25	/35	/30	/48	/48	/70	/91	/83	/448
		8,3	9,6	9,7	9,2	11,3	12,3	19,3	15,9	17,1	12,9%
4	საშვილოსნოს ყელი და ტანი	/21	/12	/34	/27	/36	/32	/23	/38	/33	/256
		9,7	4,6	9,5	8,1	8,4	8,2	6,3	6,7	6,8	7,4%
5	საკვერცხე	/12	/22	/41	/37	/39	/24	/19	/35	/23	/252
		5,6	8,4	11,4	11,0	9,2	6,2	5,3	6,1	4,7	7,3%
6	კუჭი	/9	/14	/27	/37	/23	/38	/22	/27	/21	/218
		4,2	5,4	7,5	11,0	5,4	9,7	6,1	4,7	4,3	6,3%
7	უცნობი პირველადი	/4	/2	/16	/20	/21	/15	/13	/24	/23	/138
		1,8	0,8	4,4	6,0	4,9	3,9	3,5	4,2	4,8	4,0%
8	პროსტატა	/3	/2	/5	/1	/10	/13	/11	/37	/31	/113
		1,4	0,8	1,4	0,3	2,3	3,3	3,0	6,5	6,4	3,3%
9	ცხვირ-ხახა	/12	/2	/7	/7	/14	/10	/8	/24	/21	/105
		5,6	0,8	1,9	1,8	3,3	2,6	2,2	4,2	4,3	3,0%
10	სარკომები	/4	/7	/8	/9	/9	/7	/11	/17	/16	/88
		1,8	4,4	2,2	2,7	2,1	1,8	3,0	3,0	3,3	2,5%
<b>სხვა სიმსივნეები</b>		/21	/36	/53	/115	/73	/70	/82	/83	/75	/533
		9,7	13,8	14,7	29,0	17,1	18,0	22,7	14,5	15,5	15,3%
<b>ჯამი</b>		<b>/216</b>	<b>/261</b>	<b>/361</b>	<b>/397</b>	<b>/426</b>	<b>/390</b>	<b>/362</b>	<b>/571</b>	<b>/484</b>	<b>/3475</b>
		<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

წარმოდგენილი პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ ინკურაბელურ პაციენტთა შორის ყველაზე მეტი დაავადებული იყო ბუბუს /22%/ , კოლორექტული /13,7%/ და ფილტვის /12,9%/ ავთვისებიანი სიმსივნეებით. 9 წლიანი დინამიკა აჩვენებს, რომ ფილტვისა და პროსტატის კიბოს შემთხვევები მატულობდა.

2005-2013 წლებში ონკოპრევენციის ცენტრის კლინიკაში პალიატიურ მზრუნველობას საშუალოდ თვეში გადიოდა 30-35 პაციენტი, საწოლ-დღის რაოდენობამ 1 ავადმყოფზე საშუალოდ შეადგინა 7 დღე, მაშინ როდესაც კლინიკის გახსნის პირველ 2 წელს იგი 14,1 დღე იყო.

აღსანიშნავია, რომ ყველა პაციენტი, რომელიც მოთავსდა ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის კლინიკაში იყო ინკურაბელური და მიეკუთვნებოდა IV კლინიკურ

ჯგუფს. შესაბამისად მათი მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე, რამაც ასახვა ჰპოვა მეორე ცხრილში წარმოდგენილი 3475 ონკოლოგიური ინკურაბელური პაციენტის ჯანმრთელობის ფუნქციური მდგომარეობის შეფასების (ECOG-WHO) შკალის მონაცემებზე.

**ცხრილი 2. 2005-2013 წლებში ჰოსპიტალიზებულ ონკონკურაბელურ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ECOG-WHO შკალით (აბსოლ. რიცხვი და პროცენტი)**

	მდგომარეობა	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2005-2013
I	ამბულატორული	/14 6,8	/7 2,7	/1 0,3	/2 0,5	/15 3,5	/6 1,5	/1 0,3	/1 0,1	-	/47 1,3%
II	საწოლშია 50%-ზე ნაკლები	/47 21,7	/64 24,5	/68 18,8	/58 14,6	/66 15,5	/40 10,3	/28 7,7	/74 13,0	/54 11,2	/499 14,4%
III	საწოლშია 50%-ზე მეტი	/47 21,7	/76 29,1	/117 32,4	/138 34,8	/120 28,2	/90 23,1	/94 26,0	/159 27,9	/131 27,1	/972 28,0%
IV	მიჯაჭვულია საწოლს	/108 50,0	/114 43,7	/175 48,5	/199 50,1	/225 52,8	/254 65,1	/246 66,0	/337 59,0	/299 61,7	/1957 56,3%
	ჯამი	/216 100%	/261 100%	/361 100%	/397 100%	/426 100%	/390 100%	/369 100%	/571 100%	/484 100%	/3475 100%

ცხრილიდან ჩანს, რომ ონკონკურაბელურ პაციენტებს ჰქონდათ განსხვავებული გრადაციის ჯანმრთელობის მდგომარეობის ფუნქციური დარღვევები და შესაბამისად, სხვადასხვა სიმძიმის სიმპტომები და გართულებები; კერძოდ, თითქმის ყველა პაციენტი - 98,7% (3428) იძულებული იყო, რომ დღის დროის გარკვეული პერიოდი გაეტარებინა საწოლში. 3475 პაციენტიდან მხოლოდ 14,4% (499) იყო საწოლში დღის დროის 50%-ზე ნაკლები (ECOG-WHO შკალის II გრადაციით), ხოლო 28,0% (972) - საწოლში იყო დღის დროის 50%-ზე მეტი (ECOG-WHO შკალის III გრადაცია), 56,3% (1957) - მუდმივად მიჯაჭვული იყო საწოლს.

აღსანიშნავია, რომ კლინიკის გახსნის საწყის ეტაპზე (2005-2006 წლებში) მძიმე პაციენტების რიცხვი – III-IV გრადაციის შედარებით ნაკლები (72-73%) იყო, ვიდრე გამოცდილების გაღრმავების შემდეგ 2012-2013 წლებში (86,9-88,8%), განსაკუთრებით გაიზარდა უმძიმეს პაციენტთა მიღების რიცხვი, რომელიც 2005 წელს შეადგენდა 50%-ს (ECOG-WHO შკალის IV გრადაცია), ხოლო 2013 წლისთვის 61,7%-მდე გაიზარდა /ცხრილი 2/. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ჩატრებული ინტენსიური პალიატიური მზრუნველობისა 2881 პირველადი პაციენტიდან გარდაიცვალა 26,8% (772), ყველა ჰოსპიტალიზებულიდან (361) კი 22,7%. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 2005 წელს იყო 31,5% (216-დან გარდაიცვალა 68), 2006 წელს – 19,9% (261-დან გარდაიცვალა 52), რაც საერთაშორისო სტანდარტების ადექვატურია.

**სქესი და ასაკი.** 2005-2013 წლებში კლინიკაში მოთავსებულ პაციენტთაგან ქალი იყო 64,54%, კაცი – 35,46%. 2005-2013 წლებში შეფარდებამ ქალებსა და კაცებს შორის შეადგინა 1,8. პაციენტთა ასაკი მერყეობდა 16-დან 87 წლამდე. საშუალო ასაკი ორივე სქესისათვის იყო 55,5 წელი, მათგან ქალების 52,8 წელი, კაცების 60,3 წელი. ამდენად, 2005-2013 წლებში პაციენტთა ძირითადი ნაწილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორც ქალებში, ისე

კაცებში სწორედ 50 და მეტი ასაკის ადამიანებზე მოდიოდა (70,1%). ახალგაზრდათა წილი (30 წლამდე) იყო 5%-მდე.

